პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ოქტომბერი
სამშაბათი
1972
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 232 (15445)

მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზით

საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობს დადებითი ძვრები დაძაბულობის შენელების, პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების მიმართულებით. ამ პოზიტიურ ცვლილებებს საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული და აქტიური ლენინური საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფას. სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა მსოფლიო განვითარების ქმედითი ფაქტორი გახდა. ყრილობის შემდეგ განვლილ შედარებით მცირე პერიოდში მოპოვებულია დიდი კონკრეტული წარმატებანი ამ პროგრამის რეალიზაციაში.

განუხრელად ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის მითითება ყველა ხალხის გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის აქტიური ბრძოლის შესახებ. „ბრძოლა როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის — თვით საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობისადმი, — კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულება".

მნიშვნელოვანი, პრაქტიკულად შესაძლებელი წინადადებების კომპლექსი, რომლებსაც მშვიდობის საბჭოთა პროგრამა შეიცავს, გვიჩვენებს განიარაღების რეალურ გზებს. მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობაში, ბევრი ქვეყნის სახელმწიფო წრეებში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის იდეამ. მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია იმან, რომ საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე დასვა საკითხი საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ატომური იარაღის სამუდამო აკრძალვის შესახებ. სსრ კავშირის ინიციატივით თანმიმდევრულად ფართოვდება საერთაშორისო და ორმხრივი შეთანხმებების სერია, რომელთა მიზანია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცება.

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში მიმდინარე წლის 26 მაისს. ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ მოასწავებს დიდმნიშვნელოვან პრაქტიკულ ნაბიჯს გამალებული შეიარაღების ალაგმვის გზაზე, დიდ წვლილს საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფაში. როგორც აღნიშნულია მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები", სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები იხელმძღვანელებენ იმით, რომ ატომურ საუკუნეში მათ შორის ურთიერთობისათვის არ არსებობს სხვა საფუძველი, გარდა მშვიდობიანი თანაარსებობისა, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებისა და განმტკიცების წანამძღვრებია მხარეების უშიშროების ინტერესების ცნობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორობის პრინციპი და უარი ძალის გამოყენებასა თუ მისი გამოყენების მუქარაზე.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ პირველად ისტორიაში დადგენილია რაოდენობრივი შეზღუდვები ყველაზე დამანგრეველი სახეობის იარაღზე მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოს არსენალებში. სტრატეგიული იარაღის გარკვეული ლიმიტირების შემოღება ნიშნავს გამალებული შეიარაღების შეკავებას. სამხედრო დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეტოქეობის სიმწვავის შემცირებას. ამით მცირდება სამხედრო შეტაკებების რისკი, კლებულობს, თუმცა კი მთლიანად არ იხსნება, რაკეტულ-ატომური ომის წარმოშობის საფრთხე.

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში მოსკოვის შეთანხმებათა მთავარი თავისებურება ის არის, რომ მათ საფუძვლად უდევს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი. ეს არის სოციალიზმისა და მშვიდობის სასარგებლოდ საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის განუხრელი შეცვლის, საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განუწყვეტელი ზრდის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული ლენინური პოლიტიკის თვალსაჩინო შედეგი. ახლა ცხოვრების ეს უდავო ფაქტი საერთაშორისო-სამართლებრივად გაფორმდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებით. საჭიროა, რომ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებანი ზუსტად სრულდებოდეს როგორც ფორმით, ისე შინაარსით.

გადაიდგა პირველი დიდი ნაბიჯი სტრატეგიული შეიარაღების შეკვეცის გზაზე. მშვიდობისმოყვარე ხალხები მოელიან ახალ სერიოზულ ღონისძიებებს ამ მიმართულებით. მოსკოვის შეთანხმება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შორის ითვალისწინებს შემდგომ მოლაპარაკებას რაკეტულ-ატომური შეიარაღების შეზღუდვის საკითხზე. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ ოკეანის გაღმა აქტიურობენ გავლენიანი მილიტარისტული ძალები, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები, რომლებიც უგუნურად ლაყბობენ თავიანთ განზრახვაზე აწარმოონ დიალოგი საბჭოთა კავშირთან მომავალი მოლაპარაკებების დროს „ძალის პოზიციიდან". თავს ინუგეშებენ იმ იმედით, რომ მიიღებენ ცალმხრივ უპირატესობებს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ამ ადამიანებს როგორც ჩანს, ავიწყდებათ თანამედროვეობის უცილობელი რეალობანი. მათ ცდებს — უკუღმა დაატრიალონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების ჩარხი — საკადრის პასუხს სცემენ მშვიდობისმოყვარე ხალხები.

რა თქმა უნდა, სანამ არსებობენ გავლენიანი მილიტარისტული ძალები, რომლებიც ყოველნაირად უშლიან ხელს გამალებული შეიარაღების ალაგმვას, სსრ კავშირი მხედველობიდან არ უშვებს, რომ საჭიროა ყოველგვარი ხელყოფისაგან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ინტერესების სათანადო დაცვის უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება სრულიადაც არ ასუსტებს სსრ კავშირის, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოების თავდაცვისუნარიანობას.

მოსკოვის შეთანხმებანი შეესაბამებიან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა, მსოფლიოს ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს, რადგან ისინი სრულიად არ ლახავენ მესამე ქვეყნების ინტერესებს და ხელს უწყობენ თერმოატომური ომის საფრთხის შემცირებას, რომელსაც აურაცხელი უბედურება მოჰყვებოდა მთელი კაცობრიობისათვის. ისინი აფართოებენ საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დარგებში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სფეროს, ზრდიან რეალურ შესაძლებლობებს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის შემდგომი ღონისძიებების განსახორციელებლად.

საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილი ნების, მშვიდობისმოყვარე ადამიანი ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ როგორც ახალ წვლილს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, საშიში გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და ალკვეთის საქმეში. კაცობრიობის ოცნება უიარაღო მსოფლიოზე შეიძლება ახდეს და კიდეც უნდა ახდეს.

„პრავდა", 2 ოქტომბრის მოწინავე.

საიუბილეო ვახტაზე

თესვის გადამწყვეტი დღეებია

გუგუნებენ ტრაქტორები

ცხინვალის რაიონის სოფელ დისევის კოლმეურნეობაში თესვისათვის მზადებას ადრე შეუდგნენ, ნიადაგი გადახნეს, გააფხვიერეს, სასუქები შეიტანეს, თესლებიც საგულდაგულოდ შეარჩიეს. ცხინვალის მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მექანიზატორები ლევან და ნოშრევან ოქრობირიძეები თესვას შეუდგნენ. მათ ორ დღეში 30 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი დათესეს.

დისეველ მექანიზატორებს არ ჩამორჩნენ მეზობელი სოფლის ქსუისის კოლმეურნეობის მექანიზატორები. მათ ახლად შეძენილი სათესები აამუშავეს და პირველი ათეული ჰექტარები დათესეს.

თესვა მთელი ძალით გაიშალა ერედვისა და არცევის საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე. ერედვში 5, ხოლო არცევში 6 ტრაქტორია დაკავებული შემოდგომის ხორბლის თესვაზე. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თვალყურს ადევნებენ მხვნელ-მთესველებს, რომ თესვა ჩატარდეს აგროტექნიკურ დონეზე.

თესვის ფრონტი სულ უფრო იზრდება ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. წელს ზნაურელებმა მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს ხვნაზე. ახლა მაღალხარისხოვნად ითესება ხორბალი ველების საბჭოთა მეურნეობაში, ავნევისა და მუგუთის კოლმეურნეობებში. მექანიზატორები ერთმანეთს ეჯიბრებიან თესვის ტემპებსა და ხარისხში. მათ სურთ მაღალი საწარმოო საჩუქრებით შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს.

სულ ორიოდე კვირის წინათ კომბაინები გუგუნებდნენ ლენინგორის რაიონის მთის სოფელ ზაყორის საბჭოთა მეურნეობის ფართობებში. აქ მოსავლის აღება და თესლის მომზადება ერთდროულად მიმდინარეობდა. კომბაინების გვერდით ხვნაზე მომუშავე ტრაქტორები გუგუნებდნენ. ახლა კი თესვას შეუდგნენ. მეურნეობის აბრევის უბანში უკვე ითესება შემოდგომის ქერი და ხორბალი.

მხვნელ-მთესველები გონივრულად იყენებენ მინერალურ სასუქებს. მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა საშემოდგომო თესვა ამ დღეებში დაამთავროს. ასევე აქვთ გადაწყვეტილი ამავე რაიონის სოფელ წინაგრის კოლმეურნეობის მექანიზატორებსაც.

თესვის ფრონტი სულ უფრო მაღლა, მთებისაკენ მიიწევს.

ი. თედიაშვილი.
„კომუნისტის" საკ. კორ.

მცხეთელ მექანიზატორებთან

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა „სასოფლტექნიკის" მცხეთის რაიონულმა განყოფილებამ. მისმა კოლექტივმა ენერგიულად იშრომა და გადაჭარბებით შეასრულა მესამე კვარტალის გეგმები.

მესამე კვარტალში მექანიზებულ სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით, ტრაქტორის ტექნიკური მომსახურებისა — 113 პროცენტით, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა — 110 პროცენტით, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებისა — 123 პროცენტით.

სარემონტო სახელოსნომ დავალება 110 პროცენტით შეასრულა. მოგების გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით.

რ. ცინცაძე,
„სასოფლტექნიკის" მცხეთის რაიონული განყოფილების მმართველი.

ხუთწლედი — ვადამდე!

თავი ისახელა



მეორე წელია, რაც ახალი ითხვისის მაღაროში მუშაობს ახალგაზრდა მ. წიქარაშვილი. შრომისმოყვარე და გამრჯე ჭაბუკი სწრაფად დაეუფლა უახლეს სამთო მექანიზმებს. უნარიანად მართავს ახალი კონსტრუქციის საბურღ მანქანას, ტექნიკას იყენებს გონივრულად, სრული დატვირთვით. ამიტომ არის, რომ მ. წიქარაშვილი ყოველდღიურ დავალებას თითქმის ერთიორად ასრულებს. გამრჯე მაღაროელმა კარგახანია გაანაღდა მიმდინარე წლის დავალება. იგი უკვე მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს.

მ. წიქარაშვილი აქტიური კომკავშირელიც არის. არჩეულია კომკავშირის ჯგუფორგად, „კომკავშირული პროჟექტორის" წევრად.

ახლა მ. წიქარაშვილი საიუბილეო შრომით ვახტზე დგას და წარმატებით იბრძვის პირადი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

სურათზე: მ. წიქარაშვილი.
შ. ჯაჯანიძის ფოტო.

ხარისხის ნიშნით

ქართველი მკერავების ნახელავს საატესტაციო კომისიამ უმაღლესი შეფასება მისცა

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). მეცხრე ხუთწლედი გადავაქციოთ ხარისხის ხუთწლედად. ამ დევიზით შრომობს № 1 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი მ. კალანდაძე, მთავარი ინჟინერი გ. ლებანიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ყიფიანი) კოლექტივი. მკერავთა შეუპოვარმა და მონდომებულმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაამზადეს სკოლის უფროსი ასაკის გოგონების ექვსი მოდელის კაბა. იგი სახელმწიფო საატესტაციო კომისიაში წარადგინეს. სამკერვალო საქმის ოსტატებმა ქართველ მკერავთა ნახელავს უმაღლესი შეფასება მისცეს და ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიანიჭეს. ფაბრიკის ეს პირველი გამარჯვება იყო.

მიმდინარე წელს ხარისხის ნიშნიანი გოგონების კაბები საამქროში ჩაუშვეს მასობრივი წარმოებისათვის. ეს საპატიო საქმე ლ. გოზალიშვილისა და ვ. ლეჟაშვილის მკერავთა ბრიგადებს დაეკისრა. მკერავები დავალებას პირნათლად ასრულებენ. დღეისათვის მომხმარებელს ხარისხის ნიშნიანი გოგონების 5.500 ცალი კაბა მიაწოდეს.

მკერავებმა ხარისხისათვის ზრუნვა კიდევ უფრო გააძლიერეს. მოდელების სახლის სპეციალისტებთან ერთად შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისაგან დაამზადეს ხუთი მოდელის ქალის კაბა. ისინი საატესტაციო კომისიას წარუდგინეს. ამ დღეებში მოსკოვიდან ფაბრიკაში ცნობა მოვიდა: ხუთივე მოდელმა უმაღლესი შეფასება მიიღო და ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ფაბრიკაში გადაწყვიტეს ამ პროდუქციის მასობრივი გამოშვება მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყონ. ამ საპატიო მოვალეობას შეასრულებს № 2 სამკერვალო ფაბრიკის ბრიგადა, რომელსაც ბ. შავლაყაძე ხელმძღვანელობს.

საერთოდ, ნაწარმის ხარისხი მკერავებმა რომ გააუმჯობესეს, ამაზე ნათლად მეტყველებს პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელი. მკერავებმა ცხრა თვის გეგმა 25 სექტემბრისათვის გაანაღდეს და თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 700 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს.

ხარისხისათვის ენერგიულად იბრძვის წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. ყანჩაველი, მთავარი ინჟინერი ლ. ფხიკიძე) კოლექტივი. აქ შექმნეს სკოლამდელი ასაკის ბიჭის კოსტიუმების სამი მოდელი. საატესტაციო კომისიამ ამ პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიანიჭა. მკერავებს გადაწყვეტილი აქვთ მომავალი წლის პირველი კვარტალიდან დაიწყონ ამ პროდუქციის მასობრივი გამოშვება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკამ, რომელიც საბავშვო ასორტიმენტის ნაწარმს უშვებს, უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გააუმჯობესა ხარისხი, პროდუქცია კარგად საღდება, მომხმარებელი კმაყოფილია, საწარმოო რეალიზაციის 9 თვის გეგმა 10 სექტემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით 165 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა.

მკერავები მიღწეულს როდი სჯერდებიან, ხარისხისათვის ბრძოლას კიდევ უფრო აფართოებენ, ახალი შრომით საჩუქრებს უმზადებენ დიად იუბილეს.

ზ. ჯამასპიშვილი.

მოსკოვში ჩამოვიდა მალაიზიის პრემიერ-მინისტრი

2 ოქტომბერს ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა მალაიზიის პრემიერ-მინისტრი ტუნ აბდულ რაზაკი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მალაიზიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ტუნ აბდულ რაზაკსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე ჩამწკრივდა მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული. შესრულდა მალაიზიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ტუნ აბდულ რაზაკმა და ა. ნ. კოსიგინმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწკრივს.

მალაიზიელ სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

დედაქალაქის მაგისტრალები, რომლებითაც საპატიო სტუმარი გაემართა მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში, მორთული იყო სსრ კავშირისა და მალაიზიის სახელმწიფო ალმებით. (საკდესი).

საკდესის ცნობა

ორბიტაზეა „მოლნია-2"

ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირგაბმულობის სისტემათა შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1972 წლის 30 სექტემბერს საბჭოთა კავშირში მაღალ ელიფსურ ორბიტაზე გაუშვეს კავშირის თანამგზავრი „მოლნია-2", საბორტო რეტრანსლაციური აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მუშაობას ტალღების სანტიმეტრულ დიაპაზონში.

„მოლნია-2" კავშირის თანამგზავრი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ უზრუნველყონ საბჭოთა კავშირში შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაცია, სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემები „ორბიტისა" და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის პუნქტებისათვის.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის აპოგეაა 39.200 კილომეტრი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეა — 480 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდია 11 საათი და 43 წუთი, ორბიტის დახრილობაა 65,3 გრადუსი.

თანამგზავრზე, გარდა აპარატურისა, რომელიც გადასცემს ტელევიზიის პროგრამებს და ახორციელებს შორეულ მრავალარხიან რადიოკავშირს, დადგმულია საკომანდო-გასაზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე თანამგზავრის ორიენტაციის, მისი ორბიტის კორექციისა და ენერგოკვების სისტემები.

„მოლნია-2" თანამგზავრის კავშირის სეანსები მოეწყობა გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად.

ფილიპინელი პარლამენტარები თბილისში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ 2 ოქტომბერს მიიღო ფილიპინის რესპუბლიკის პარლამენტართა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ფილიპინის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი კორნელიო ვილარეალი. მასთან ერთად იყვნენ კონგრესმენები კარმელო ბარბერო, ნიკანორ ინიგუესი, მარსელინო ველოსო, იოკინ როსესი და სხვა სტუმრები.

გ. ძოწენიძე გულთბილად მიესალმა შორეული ქვეყნის — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პარლამენტარებს, თქვა, რომ ისინი არიან ფილიპინის პირველი წარმოგზავნილები საბჭოთა კავშირში. მან აღნიშნა, რომ ყველა წანამძღვარი არსებობს საბჭოთა კავშირსა და ფილიპინის რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის კარი, განაცხადა გ. ძოწენიძემ, ფართოდ და სტუმართმოყვრულად ღიაა მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენლებისათვის, ყველასათვის, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ნორმალური ურთიერთობის დამყარებით.

კორნელიო ვილარეალმა აღნიშნა გულთბილი მასპინძლობა, რომელიც გაუწიეს დელეგაციას. ყველგან საბჭოთა კავშირში, თქვა მან, ჩვენ გულწრფელი მეგობრობით ვართ გარემოსილი. ფილიპინელი ხალხი ესწრაფვის საბჭოთა კავშირთან მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. აბაშიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მიქელაძე. საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ა. ჟღენტი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ი. პოლიკარპოვი.

ნაშუადღევს ფილიპინის რესპუბლიკის პარლამენტარებმა გაისეირნეს თბილისში. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს დასკვნისათვის გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარდგენილი კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მათი მოსპობის შესახებ, რომელსაც სსრ კავშირის მთავრობის სახელით ხელი მოაწერეს მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში 1972 წლის 10 აპრილს.

ჯ. ბ. კლარქსონი: სასარგებლო ვიზიტი

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ავსტრალიის სავაჭრო დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ლითონის მრეწველობის მეწარმეთა გაერთიანების პრეზიდენტი ჯ. ბ. კლარქსონი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ქვეყნის საქმიანი წრეების წამყვანი წარმომადგენლები, მათთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირში ავსტრალიის საელჩოს სავაჭრო მრჩეველი პ. შამახანი. მოგზაურობაში სტუმრებს ახლავს სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საგარეო ურთიერთობის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ჟელეზნოვი.

2 ოქტომბერს ავსტრალიის სავაჭრო დელეგაცია ჯ. ბ. კლარქსონის მეთაურობით მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კიკნაძემ. საუბრის დროს იგი შეეხო რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიურ ურთიერთობას.

ბ-ნმა ჯ. ბ. კლარქსონმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირში დელეგაციის ვიზიტი ეწყობა ავსტრალიის მთავრობის ხელშეწყობით და ხორციელდება გავლენიან ავსტრალიელ კომერსანტთა ორგანიზაციის — ექსპორტის განვითარების საბჭოს მხარდაჭერით. ჩვენი დელეგაციის ძირითადი მიზანი, თქვა მან, ის არის, რომ გამოვძებნოთ შესაძლებლობანი ავსტრალიისა და საბჭოთა კავშირის ხანგრძლივი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის.

დელეგაციის მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირში დელეგაციის ვიზიტი იქნება სასარგებლო და ავსტრალიას საშუალებას მისცემს გააფართოოს საგარეო ვაჭრობის საზღვრები, მოაგვაროს ახალი სავაჭრო ურთიერთობა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. თოხაძე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მიქელაძე.

იმავე დღეს დელეგაცია ეწვია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას. იქ გაიმართა საუბარი პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან რ. ელიგულაშვილთან.

საღამოს ავსტრალიის დელეგაციის მეთაურმა ჯ. ბ. კლარქსონმა დარბაზობა გამართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა პატივსაცემად. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რეზოლუციები და გადაწყვეტილებები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობაში გამოვიდა მეათე ტომი დოკუმენტების კრებულისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებანი".

ტომში შევიდა პარტიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები 1969 წლიდან 1971 წლის ჩათვლით.

გამოცემა დასაბეჭდად მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა პ. ნ. ფედოსეევისა და კ. უ. ჩერნენკოს საერთო რედაქციით. (საკდესი).

1972 წლის 5-6 ოქტომბერს მოწვეულია საქართველოს სსრ მხატვართა VIII ყრილობა

ყრილობა გაიხსნება დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (მთავრობის სახლი).

ყრილობის დელეგატები მანდატებს მიიღებენ საქართველოს სსრ მხატვართა კავშირში (რუსთაველის პრ. № 22) დილის 10-დან 16 საათამდე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 5 ოქტომბერს დილის 9 საათიდან 10 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

ჩვენს დიად სამშობლოში



მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი წარმატებით ასრულებს საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებებს. 1972 წელს ავტომობილმშენებლები ითვალისწინებენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების შემდგომ დაჩქარებას. გადაწყვეტილია შეიქმნას მსხვილი ყალიბის დეტალების კომპლექსურ-მექანიზებული საამქრო, ექსპლოატაციაში შევა 6,5 ათასი მეტრი სიგრძის კონვეიერი და ტრანსპორტიორი.

ლიხაჩოველები ყველა უბანზე დიდი აღმავლობით შრომობენ. მიმდინარე წლის დასაწყისიდან კონვეიერიდან გეგმის გადამეტებით ჩამოვიდა ათეულობით სატვირთო ავტომანქანა.

სურათზე: სატვირთო ავტომანქანების დატვირთვა რკინიგზის ბაქანზე ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გასაგზავნად.

საკდესის ფოტოქრონიკა.

მდიდარი ნაყოფი

ა. თხილაიშვილი,

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

საბჭოთა ხალხების დიდ ეროვნულ დღესასწაულს—სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აჭარის მშრომელები მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან. ისინი თავდადებით შრომობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ცხოვრობენ კომუნისტთა ამ უმაღლესი ფორუმის შთაბეჭდილებებით.

მეტად რთული ისტორიული გზა განვლო აჭარამ. წარსულში უმძიმესი იყო მისი ხვედრი. ძნელია დავასახელოთ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხე, რომელსაც იმდენი აოხრება და წამება განეცადოს, რამდენიც აჭარას. თურქმა დამპყრობლებმა ძალად მოსწყვიტეს იგი დიდ სამშობლოს და სამასი წლის მანძილზე აჭარის მოსახლეობას არა ერთხელ დამუქრებია ფიზიკური განადგურების მძიმე საშიშროება.

გარეშე და შინაური მტრების დაუსრულებელმა თარეშმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ამ განუყოფელი კუთხის ეკონომიკასა და კულტურას. დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ ჩაეხშოთ ქართული გრძნობები და კულტურა აჭარის მოსახლეობაში, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს. აჭარის მოსახლეობამ შეინარჩუნა და საუკუნეებში გამოატარა მშობლიური ქართული ენა, ქართული ცხოვრების სული და [illegible].

აჭარის მოსახლეობის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი პერიოდი იყო 1918-1920 წლები. ქართველი მენშევიკების უდღეური ბატონობის პერიოდში აჭარა კვლავ გახდა თურქების, ინგლისელებისა და სხვა იმპერიალისტთა სათარეშო ობიექტი. დაქვეითდა მისი ეკონომიკა. მშრომლები აუტანელ პირობებში იყვნენ, მაგრამ არ შერიგებიან თავიანთ ბედს და გმირულად იბრძოდნენ განთავისუფლებისათვის.

1921 წლის 18 მარტს ბოლო მოეღო აჭარის მშრომელთა ხანგრძლივ და მძიმე ჩაგვრას. ამიერიდან დაიწყო ახალი ხანა მრავალტანჯული მოსახლეობის ცხოვრებაში, ხოლო 1922 წლის ბოლოს თავისუფალ ერთა და ხალხთა ძმური კავშირის შექმნის შემდეგ კიდევ უფრო ნათელი მოეფინა აჭარის მომავალს.

ნახევარი საუკუნე ძალიან მოკლეა ისტორიისათვის, მაგრამ ამ მოკლე დროშიც საქართველოს განუყოფელმა ნაწილმა — აჭარამ ისეთი მძლავრი ნაბიჯები გადადგა, ისეთი ძირეული გარდაქმნები განიცადა, რომლებსაც შეიძლება მხოლოდ სასწაული ვუწოდოთ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში.

განვლილ ორმოცდაათ წელიწადში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმის განხორციელებით აჭარა მეფის რუსეთის ყოფილი ჩამორჩენილი კუთხიდან გადაიქცა თანამედროვე ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, ყოველმხრივ განვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის რესპუბლიკად.

ჩვენი კუსტარული საწარმოები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდნენ აჭარის მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. ახლა გვაქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 80-ზე მეტი ფაბრიკა და ქარხანა, რომელთა ნაწარმი კარგახანია გასცდა რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და სამარკო ღირსებით გავიდა საერთაშორისო ბაზარზე. 1970 წელს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მოცულობის დონე 1921 წელთან შედარებით 260-ჯერ და მეტად გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღმოცენდა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ელექტრომექანიკური, გემთმშენებლობისა და ბევრი სხვა. აჭარის ფაბრიკა-ქარხნები უშვებენ ნავთობპროდუქტებსა და წყალქვეშაფრთებიან კატარღებს, მანქანათმოწყობილობას, ელექტროსაწვავებს და ლაბორატორიულ ავტოტრანსფორმატორებს, შუქტექნიკის აპარატურასა და გაზქურებს, სამედიცინო პრეპარატებსა და ციტრუსოვანთა კონსერვებს, შავ და მწვანე ბაიხაო ჩაის, ტყავს, ფეხსაცმელს, ავეჯს, თამბაქოს, სამკერვალო, საკონდიტრო ნაწარმს და ვინ მოთვლის კიდევ რას.

მრეწველობის მუშაკებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს მერვე ხუთწლედში წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. ხუთ წელიწადში გეგმის გადამეტებით რეალიზებულ იქნა 40 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 42 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების, აგრეთვე მოგების ზრდის, თვითღირებულების შემცირების დავალება, გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

რესპუბლიკის ეკონომიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომელიც 1967 წელს შეიქმნა. თავისი არსებობის პერიოდში სანაოსნო გადაიქცა მნიშვნელოვან ერთეულად ჩვენი ქვეყნის საზღვაო ტრანსპორტის სისტემაში და დიდი წვლილი შეაქვს საზღვარგარეთთან სავაჭრო კავშირის განმტკიცებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სავსებით იცვალა სახე აჭარის სოფელმა, მთლიანად გარდაიქმნა აჭარელი გლეხკაცის ცხოვრება. იგი კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე გახდა. ყველაზე მაღალმთიან სოფლებშიც კი ილიჩის შუქი ანთია. წინათ უსარგებლო მთის ფერდობებზე თუ ჭაობიან მიწებზეც გადაშლილია ჩაის, ტუნგისა და თამბაქოს პლანტაციები. ხარობს ვაზი, გაშენებულია ციტრუსოვანთა და ხეხილის ბაღები.

აჭარის სოფლის მეურნეობის მთავარი სიმდიდრე და სიამაყეა ჩაი და ციტრუსები. ჩვენს რესპუბლიკას მრავალი წელია ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავლიანობის ზრდის საქმეში მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. მეჩაიეობა ვითარდება მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში. მეცნიერი სელექციონერის, აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მრავალი წლის მუშაობის შედეგად გამოყვანილია სამამულო ჩაის უხვმოსავლიანი და ყინვაგამძლე სელექციური ჯიშები, რომლებიც ყოველწლიურად სულ უფრო ფართოდ ინერგება ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობებში. მათსავე გავრცელებას ცდილობენ საზღვარგარეთის მოწინავე მეჩაიეობის ქვეყნები. აჭარის ჩაის პლანტაციებში მუშაობს ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილი ჩაის საკრეფი 62 მანქანა „საქართველო", რამაც საფუძველი ჩაუყარა ამ შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციას.

მერვე ხუთწლედში აჭარის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 181.526 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 16.166 ტონით იმაზე მეტი, რასაც გეგმა ითვალისწინებდა. ახლა მთელ საბჭოთა კავშირში კარგად არის ცნობილი ჩვენი მეციტრუსეების ნახელავი — მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ნაყოფი. საქართველოში წარმოებულ ციტრუსოვანთა ნაყოფის 80 პროცენტზე მეტს აჭარა იძლევა. ჩვენს მეურნეობებში აღიზარდა ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის მაღალი მოსავლის ასობით ოსტატი. მთელი რესპუბლიკა კარგად იცნობს მეჩაიეების, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ზაქარაძის, გ. ჭანიძის, ქ. გოგიტიძის, ა. ჯიჯავაძის, ე. პაპუნაიშვილის, დ. წულუკიძის, ტ. ცინცაძის, მეციტრუსეების ბ. ტიკარაძის, შ. ბერიძის, სოციალისტური შრომის გმირის დ. ბაკურიძის, დ. კომახიძის, მევენახე ი. ნიგალიძის, მეთამბაქოე ლ. შარაძისა და სხვათა შესანიშნავ შრომით წარმატებებს.

ეკონომიკის განვითარებაში ესოდენ თვალსაჩინო წარმატებების მოპოვება შესაძლებელი გახდა კაპიტალური მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელებით. დღევანდელი აჭარა — ეს არის საწარმო-დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახლების განაშენებისა და თანამედროვე სტილით ნაგებობათა ახალმშენებლობის რესპუბლიკა. ამასთან აჭარა გადაიქცა ჯანმრთელობის კერად. აქ, შავი ზღვის სანაპიროზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ტურისტული ბაზები. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხის ათასობით მშრომელი იკაჟებს ჯანმრთელობას აჭარის პოპულარულ კურორტებზე — ქობულეთში, ციხისძირში, მწვანე კონცხზე, მახინჯაურში და სხვაგან.

მხარეში, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ მოსახლეობის მხოლოდ შვიდმა პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, ახლა ვეღარ ნახავთ წერა-კითხვის უცოდინარს. ამჟამად აჭარაში არის 436 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 7 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, პედაგოგიური ინსტიტუტი და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილება. მუშაობს ათამდე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ფილიალი 290-ზე მეტი მეცნიერი მუშაკით. მათ შორის ერთი აკადემიკოსი. შვიდი მეცნიერებათა დოქტორი და 103 კანდიდატი ეწევა მრავალმხრივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ხალხის სამსახურშია 199 კულტურის სასახლე, სახლი, კლუბი, 237 ბიბლიოთეკა, 166 კინოთეატრი და კინოდანადგარი. ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრდა რადიო, ტელევიზორი, გაზეთი და ჟურნალი. აჭარის გამომცემლობა რეგულარულად უშვებს ადგილობრივი პროზაიკოსებისა და პოეტების ნაწარმოებებს. ფართოდ განვითარდა ლიტერატურა და ხელოვნება, წარმატებით მუშაობს ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ამ დიად სოციალურ გარდაქმნებს, ეკონომიკისა და კულტურის დარგში მოპოვებულ წარმატებებს აჭარის მოსახლეობა უმადლის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის გამოცდილ მებრძოლ რაზმს — საქართველოს კომუნისტურ პარტიას, საქართველოს მთავრობას, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს უანგარო და ძმური დახმარებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე ნათელი და შთამაგონებელი პერსპექტივები გადაშალეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომელთა განხორციელებისაკენ არის მიმართული მთელი მათი მუყაითობა. ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის გასული წლის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, ხოლო პროდუქციის გამოშვების დავალებანი — 20 დეკემბრისათვის. დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობაშიც. აჭარის მეჩაიეებმა შარშან მეჩაიეობის ისტორიაში პირველად მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 40.458 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული. დამზადებულ იქნა 33 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა გეგმიან დავალებას.

საიუბილეო წელს აჭარის მშრომელებმა უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. მრეწველობის მუშაკებმა გადაწყვიტეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ, ამასთან გეგმის გადამეტებით გამოუშვან 12 მილიონი მანეთის პროდუქცია. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 46.300 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დამზადდება 29 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 10 ათას ტონაზე მეტი ხილი, 1.100 ტონა ყურძენი, 2.600 ტონა თამბაქო, 2.200 ტონა ხორცი, 5.500 ტონა რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ამ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 50 ათასი მუშა-მოსამსახურე. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მონაწილეობს 25 ათასამდე მუშაკი.

წინასაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა დიდ დახმარებას უწევს აჭარის მშრომელებს მიმდინარე სამეურნეო წლის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებაში.

მოწინავეთა შორის არიან მანქანათსამშენებლო, ელექტრომექანიკური, გემთმშენებელი ქარხნები, ხის დამმუშავებელი კომბინატი, ბამბუკის საავეჯო ფაბრიკა, ხილის წვენებისა და ლუდის ქარხანა, ხელვაჩაურის, ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკები და სხვა საწარმოები. აჭარელმა მეჩაიეებმა წარმატებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ჯერ გეგმა, ხოლო შემდეგ — საიუბილეო ვალდებულება. ახალი მიჯნების ასაღებად იბრძვიან სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებიც.

ამ წარმატებებთან ერთად მუშაობაში გვაქვს ხარვეზებიც. საერთო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის რვა თვის დავალებათა შესრულების საქმეში ჩამორჩებიან ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყო", ტყავნედლეულის გაერთიანება, ტარის, ქიმიური, რეზინატექნიკური და ხის დამმუშავებელი ქარხნები, ქობულეთის საწარმოო კომბინატი. დაბალი სამეურნეო მაჩვენებლები აქვთ ხულოს რაიონის თხილვანის, სკვანის, ქედის რაიონის მერისისა და ხელვაჩაურის რაიონის ქედქედის კოლმეურნეობებს.

პარტიული ორგანიზაციები გადამჭრელ ზომებს იღებენ ჩამორჩენის დასაძლევად.

წინასაიუბილეო დღეებში აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს აღმზრდელობითი საქმიანობა. პირველადი პარტიული ორგანიზაციები მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარ არსენალს იყენებენ. ეწყობა თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები. იკითხება ლექციები და პოლიტიკური მოხსენებები. აგიტატორები და პოლიტინფორმატორები მშრომელებს ესაუბრებიან პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების საკითხებზე. ეწყობა გამსვლელი სამეცნიერო სესიები, შეხვედრები რევოლუციისა და ომის ვეტერანებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან.

მეცხრე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა. მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 31,6 პროცენტით, გადიდდება სახალხო და საოჯახო მოხმარების საგნების წარმოება, მაქსიმალურად გაფართოვდება ნედლეულისა და მასალების ადგილობრივი რესურსების გამოყენება, მის ბაზაზე გაიზრდება ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

მნიშვნელოვნად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფართოდ დაინერგება კომპლექსური მექანიზაცია, ამაღლდება კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება, გაუმჯობესდება შრომის ორგანიზაცია, განმტკიცდება დისციპლინა.

განვითარდება ყველა სახეობის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, გადიდდება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტვირთბრუნვა.

ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდ ოჯახში აჭარის მშრომელები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს აღნიშნავენ ახალი წარმატებებით, მუდამ თავდადებით იბრძოლებენ და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

„კომუნისტის" ფოსტიდან

● **ჭიათურა.** ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს პროფკავშირის კომიტეტმა ადმინისტრაციასთან ერთად სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო მშრომელთა ექსკურსია ქალაქ ლენინგრადში.

ექსკურსანტთა შორის იყვნენ — სოციალისტური შრომის გმირი, მტვირთავი მანქანის მემანქანე ჟ. გოგატიშვილი, მებიგე გ. ქურციძე, ექსკავატორის მემანქანე ი. ხეფარიძე, ამფეთქებელი ვ. დავთაძე, გვირაბგამყვანები ო. გურული, ა. ყიფიძე.

დ. ბრეგვაძე.

● **ახმეტა.** დღითიდღე ლამაზდება, სახეს იცვლის რაიონული ცენტრი, შენდება ახალ-ახალი ნაგებობანი. განსაკუთრებით იზრდება საცხოვრებელი ბინების რიცხვი. ახლახან ექსპლოატაციაში შევიდა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ჰიდროლიზ-საფუარის ქარხნის მუშაკებს ეკუთვნის. ამ სახლის მშენებლობას აწარმოებდა თელავის № 4 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ვ. ბეჟუაშვილი), პირველ სართულზე მაღაზიებია განლაგებული, მაღლა — ოთხ სართულზე კი 28 ოჯახი ცხოვრობს.

ლ. ესართია.

● **გორი.** სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა ატენის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ტურისტული ლაშქრობა — მარშრუტით: ატენი, ატენის სიონი, დანახვისი. ლაშქრობის მონაწილენი კმაყოფილი დაბრუნდნენ.

ნ. ტლაშაძე.

● **ზნაური.** რაიონის ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1973 წლისათვის.

სოფელში ხალისით იწერენ რესპუბლიკურ, რაიონულ და საოლქო გაზეთებს, ჟურნალებს.

ვ. ბაბარაევი.

● **ცხაკაია.** ამას წინათ ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ორაგველიძე ეწვია ნოსირის, ტეხურისა და ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობებს. იგი გაეცნო მათს ეკონომიკას, სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცა მეურნეობის ხელმძღვანელებს და ეკონომისტებს, შემდეგ მან წაიკითხა ლექცია, პასუხი გასცა მსმენელთა კითხვებზე.

ი. ბოჯგუა.

სიგნალები უკომენტაროდ

☐ **შუახევი.** ზამთარში გორიხევის ხიდი მეწყერმა წაიღო. ეს ხიდი რაიონის ცენტრსა და ექვს სოფელს აკავშირებდა ერთმანეთთან. ბევრჯერ შევაწუხეთ რაიონის საგზაო საწარმოო უბანი, მაგრამ... კვლავ უხიდოდ ვართ.

ჯ. დევაძე.

☐ **ქობულეთი.** უცნაური ამბავია: ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს ყოველთვიურად გვახდევინებენ რადიომომსახურების საფასურს, რადიო კი დუმს...

გ. ღლონტი.

☐ **გარდაბანი.** რამდენიმე ხანია სოფელ გლდანის ახალ დასახლებას სასმელი წყალი შეუწყვიტეს. ადგილობრივი ხელმძღვანელობა გვარწმუნებს, შტატით წყლის ქირის ამკრეფი კაცი არა გვყავს და ფული ვერ შეგვაქვს წყალთა მეურნეობის ანგარიშზეო. უკანასკნელი კი თავისას მოითხოვს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ წყალთა მეურნეობამ ჩაგვიკეტა ონკანები.

ე. ჩხაიძე.

☐ **თელავი.** შარშან საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მუშაკებმა ლეონიძის ქუჩა მთლიანად გადათხარეს და მილები ჩააწყეს ნიაღვრის წყლის გასასვლელად. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, გაჭრილი არხები კი ჯერაც არ ამოუვსიათ...

დ. ვახვახიშვილი.

☐ **ზუგდიდი.** მდინარე ჩხოუშის მარჯვენა სანაპიროზე ზოგიერთი მცხოვრები სისტემატურად ყრის ძველ ნახმარ ლეიბლებს, ვედროებს, საწოლებს, კონსერვის ყუთებს და სხვა ხარახურას. უფრო მეტიც. ხის გადამამუშავებელი კომბინატის სახერხი ქარხნის მუშაკები მდინარეში ყრიან ნახერხს, ხის ნარჩენებს, რაც აბინძურებს მდინარეს.

ზ. ალშიბაია.

☐ **დუშეთი.** რამდენიმე წლის წინათ ვაჟას მშობლიურ სოფელ ჩარგალში ახალი პურსაცხობი ააშენეს. იგი თავდაპირველად აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნილებას პურზე. დრო გავიდა. საცხობი მოძველდა, ჭერიდან წყალმა იწყო დენა, გაძნელდა სანიტარული წესების დაცვა...

ჩარგალელებმა არაერთხელ მოითხოვეს საცხობის შეკეთება, მაგრამ დახმარების ნაცვლად იგი გააუქმეს. აგერ ორი თვეა ჩარგალსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში პურის საყიდლად ათ კილომეტრზე — მაღაროსკარში დადიან...

გ. მარცვალაშვილი.

დაიწყო სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

ქვეყნის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მეცადინეობის დაწყება პარტიული განათლების ქსელში. მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განვითარებაში, რაც გამოწვეულია საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებით. 2 ოქტომბერს პირველ მეცადინეობას შეუდგა რესპუბლიკის 300 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი.

მეცადინეობის დაწყებისათვის კარგად მოემზადნენ თბილისის პარტიული ორგანიზაციები, სადაც შექმნილია 250-ზე მეტი დაწყებითი პოლიტსკოლა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაახლოებით ათასი სკოლა, თითქმის 1.618 თეორიული სემინარი, სხვადასხვა პროფილის დაახლოებით 80 სახალხო უნივერსიტეტი, 295 კომუნისტური შრომის სკოლა და სხვ.

თუ გასულ სასწავლო წელს ქალაქის პარტიული განათლების სისტემის სხვადასხვა რგოლში სწავლობდა დაახლოებით 81.700 კაცი, აქედან 60.135 კომუნისტი, 1972-73 სასწავლო წელს სწავლებაში ჩაბმულია 84.600 კაცი, რომელთაგან თითქმის 63 ათასი კომუნისტია.

გაიზარდა და განმტკიცდა პროპაგანდისტთა კადრები. ახლა მათ დიდ უმრავლესობას აქვს უმაღლესი განათლება. პროპაგანდისტთა შორის არიან სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, პედაგოგები, ლექტორები და მეცნიერი მუშაკები. პროპაგანდისტულ მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები.

ახალ სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციათა მთავარი ამოცანაა აამაღლონ იდეურ-თეორიული დონე და მარქსისტულ-ლენინური განათლების ქმედითობა, ღრმად შეისწავლონ ლენინური თეორიული მემკვიდრეობა, სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული დებულებები და დასკვნები თანამედროვეობის ძირითადი პრობლემების მიხედვით, პარტიის პოლიტიკა და მისი პრაქტიკული განხორციელების გზები. (საქინფორმი).

აღვკვეთოთ სოციალისტური საკუთრების დატაცება

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასთან ბრძოლის მდგომარეობის საკითხებსა და ამ დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებებს. სხდომაზე იყვნენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაკები, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, უმაღლესი სასამართლოს, სახალხო კონტროლის კომიტეტის, ვაჭრობის სამინისტროს, „ცეკავშირის" წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ტაკიძემ.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ გ. ბიწაძემ. მოისმინეს აგრეთვე საინფორმაციო მოხსენებანი, რომლებიც გააკეთეს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეებმა განსაკუთრებულ დავალებათა დარგში მ. კიკოზაშვილმა, ქალაქ თბილისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ზუგდიდის რაიონის პროკურორებმა — შ. ლეჟავამ, ზ. ხახიშვილმა, გ. გვასალიამ, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა ქ. გედევანიშვილმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ფ. კავთიაშვილმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსმა შ. გორგოძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო სამმართველოს უფროსმა გ. სოლოღაშვილმა.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანებში საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებმა განახორციელეს გარკვეული დადებითი მუშაობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. მათ განამტკიცეს კონტაქტები იუსტიციის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა ორგანოებთან და მიაღწიეს იმას, რომ გაუმჯობესდა გასაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა დატაცების ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრისა და ამ დანაშაულის გამოვლინების აქტივიზაციისათვის, ხორციელდებოდა ღონისძიებანი საერთო ზედამხედველობის გაძლიერებისათვის, ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის ხარისხის გაუმჯობესებისა და ვადების დაცვისათვის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების დონის ამაღლებისათვის.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში გამოავლინეს და დააპატიმრეს დამტაცებელთა არაერთი ჯგუფი, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოქმედებდნენ. საგამოძიებო ორგანოების მუშაობისა და მილიციის ორგანოების ოპერატიული ღონისძიებების უნარიანად შეხამების, ბევრი საქმეებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის სწორი ორგანიზაციის შედეგად გამოვლინდა ყველა დანაშაულებრივი ურთიერთობა შემსრულებლებთან და ორგანიზატორებთან ერთად, რომელთა შორის ხშირად იყვნენ საწარმოთა და დაწესებულებათა დირექტორები, მთავარი ინჟინრები და ხელმძღვანელი მოანგარიშე მუშაკები, სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემული იყვნენ ხელისდამფარებლები და ის პირნი, რომელთა დაუდევრობამ ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

ადგილებზე საქმეთა ვითარების გასაცნობად და სოციალისტური ქონების დატაცებასთან ბრძოლაში პრაქტიკული დახმარების გასაწევად რესპუბლიკის პროკურატურა აწყობდა ცენტრალური აპარატის მუშაკთა გასვლას ადგილებზე. შემოწმების შედეგებსა და დაქვემდებარებული პროკურორების ანგარიშებს ისმენდნენ კოლეგიისა და ოპერატიულ თათბირებზე.

პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების მუშაკები უფრო აქტიურ პროპაგანდას უწევდნენ საბჭოთა კანონებს სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონის გამოვლინებულ დარღვევათა გამოსწორების მიზნით სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს ეგზავნებოდათ პროტესტები და წარდგინებანი. საერთო საზედამხედველო შემოწმებათა პროცესში პროკურორები ავლენენ დატაცების ხელშემწყობ გარემოებებს, აღრიცხვისა და ანგარიშგების, სარევიზიო მუშაობის, მატერიალურ ფასეულობათა დაცვის, მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების შერჩევის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას, ავლენენ იმ პირთა მიმართ ხელისდაფარების ფაქტებს, რომლებმაც დაუშვეს დანაკლისი ან დატაცება, და სათანადო რეაგირებას ახდენენ გამოვლინებულ დარღვევებზე, და თუ არის დანაშაულის ნიშნები, აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეებს.

ამასთან ერთად კოლეგიამ აღნიშნა პროკურატურის ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კერძოდ, პროკურორები ყველგან სათანადო ყურადღებით როდი ეკიდებიან სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე გაუმჯობესდა დანაშაულთა გამოვლინების მაჩვენებლები, მდგომარეობა ამ მიმართულებით კვლავაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ კიდევ ბევრია ბოლომდე გაუხსნელი საქმე, რაც სისხლის სამართლის საქმეების დაგვიანებით აღძვრისა და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების არაკვალიფიციური, არაოპერატიული წარმოების, კრიმინალისტური ტექნიკისა და მეცნიერული რეკომენდაციების სუსტად გამოყენების, საგამოძიებო მუშაობისა და ოპერატიული საქმიანობის სუსტი კოორდინაციისა და ურთიერთმოქმედების უქონლობის შედეგია. ჯერ კიდევ გვხვდება გამოძიების ვადების უხეშად დარღვევის შემთხვევები. ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ სრულდება პარტიისა და მთავრობის მოთხოვნები დატაცებით მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურების შესახებ.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიზანია რესპუბლიკაში დაგროვილი დადებითი გამოცდილების გავრცელება და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. (საქინფორმი).

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ატარებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლები. ინსტიტუტის ლაბორატორიაში წყდება მეტალურგიის განვითარების ყველაზე აქტუალური საკითხები.

მეტალურგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის მეთოდების ლაბორატორიის კოლექტივი მუშაობს ახალი შენადნობების სტრუქტურულ გამოკვლევაზე.



სურათზე: ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის მეთოდების ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, ინჟინერი ფიზიკოსი, კომკავშირელი მალხაზ ნიქაბაძე ახალი შენადნობების ფიზიკური თვისებების დადგენასა და შესწავლაზე მუშაობისას.

ხ. ომეზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ადამიანი და პროგრესი

მანქანებს ხასიათი თუ აქვთ? რატომ ცდება ადამიანი? როგორ არ ჩამოვრჩეთ პროგრესს? თანამედროვე ტექნიკური რევოლუციით წარმოშობილი ეს კითხვები ახლა ბევრს აინტერესებს. სწორედ ამ და ბევრი სხვა პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა და სპეციალისტთა I საერთაშორისო კონფერენცია ერგონომიკის საკითხებზე.

განვთავისუფლდეთ კონფლიქტებისაგან

ერგონომიკა — ახალი სამეცნიერო მიმართულება

არქეოლოგები ამტკიცებენ, პირველი ბორბალი დედამიწაზე 6 ათასი წლის წინათ გაჩნდაო. გამოგონება ჭეშმარიტად გენიალური აღმოჩნდა, ვინაიდან ახლაც იგი მეტი წილი ეკიპაჟების მთავარ „დეტალად" რჩება. მაგრამ აი რა არის საინტერესო: 5800 წლის მანძილზე ადამიანის მიერ ბორბლის დახმარებით მიღწეული სიჩქარით რეკორდი მტკიცედ იყო 30 კილომეტრამდე საათში. სამაგიეროდ ორ უკანასკნელ ასწლეულში ორმოცჯერ იმატა.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საოცარ ბუმს, უეჭველია, ახლანდელი თაობა განიცდის. საქონლის წარმოებისა და მომსახურების საერთო მოცულობამ მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში გაორკეცება იწყო მხოლოდ 10-15 წლის წინათ. მექანიზაცია და ავტომატიზაცია მოიცავენ ისეთ დარგებს, რომლებიც თითქოსდა კიდევ ათობით და ასობით წლის დარჩებიან მხოლოდ ადამიანის პრეროგატივად და უკვე სავსებით ფანტასტიკური ნახტომი მოხდა ინფორმაციის გადამუშავების დარგში: მარტო უკანასკნელ ათწლეულში რაოდენობა ინფორმაციისა, რომელიც კომპიუტერთა დახმარებით მუშავდება, მილიონჯერ გაიზარდა!

რაშია საკონფლიქტო სიტუაციების არსი, რომლებიც საკმაოდ ხშირად ჩნდება „ადამიან-მანქანის" სისტემაში? რატომ არის, რომ მათ ყოველთვის როდი „ესმით" ერთმანეთისა? და რა სახეს მიიღებს ეს? უწინარეს ყოვლისა, ადამიანს არ შეუძლია მანქანისაგან (იქნება ეს კომბაინი, დაზგა თუ რთული რაკეტული კომპლექსი) მიიღოს ყველაფერი, რის მოცემაც მას შეუძლია. მეორე მხრივ, „სიყვარულისა და ურთიერთ გაგების" არარსებობა გამოიხატება იმით, რომ ოპერატორი მუდამ გრძნობს ფარულ უხერხულობას, ნერვების დაძაბულობას, რომელიც ნაადრევ დაქანცვას იწვევს.

„განხეთქილების ვირუსი" ხვალდ ეძებნათ. თვითეულმა ცალკე, შრომის ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, შრომის ჰიგიენის, ეკონომიკის სპეციალისტებმა. მაგრამ პირველი საგრძნობი შედეგები მისცა ყველა ამ დისციპლინის გამაერთიანებელმა ერგონომიკამ. ეს ახალი სამეცნიერო მიმართულება კომპლექსურად სწავლობს ადამიანის შრომითს საქმიანობას იმ მიზნით, რომ შექმნას პირობები და მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ამავე დროს აადვილებენ თვით შრომას ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

ერგონომისტებმა გამოარკვიეს, რომ უახლესი, სულ უფრო რთული ტექნიკის პროექტების შემუშავება ხშირად ხორციელდება იმ ადამიანთა ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად, რომლებიც ამ ტექნიკით იმუშავებენ.

აღმოჩნდა, რომ ინჟინერ-კონსტრუქტორებისათვის ზოგჯერ პირდაპირ უცნობია გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი, იმის მოქმედების თანმიმდევრობის ლოგიკა, ვისთვისაც ისინი თავიანთ ნაშიერს ქმნიან.

—თუ თქვენ მშენებელი ხართ და ჩააბარებთ სახლს, რომელშიც ყველა კარის სახელური ჩაღრმულია იატაკის ახლოს, რას იტყოდნენ თქვენზე? ისევ, რომ როცა თქვენს საქმეს აკეთებთ, ადამიანებზე არ ფიქრობთ, — ამბობს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ მუნიპოვი. — ჩვენ მივიწვიეთ დაგვეთვალიერებინა ჩარხი, რომელიც კონსტრუირებულია მოსკოვის ერთ-ერთ ორგანიზაციაში. თავისი საინჟინრო მონაცემებით ის შესანიშნავი იყო, მაგრამ როცა ქრონომეტრაჟი მოვაწყეთ, დავინახეთ, რომ მუშა ცვლაში 2800-ჯერ უნდა დახრილიყო — ისე დაბლა იყო განლაგებული ჩარხის მართვის ბერკეტები და ღილაკები. ამან ჩარხის ყველა უპირატესობა გააქარწყლა.

მოაწყეს ასეთი ექსპერიმენტი. ოთხ გაზის ქურაზე რეგულატორები და სანთურები სხვადასხვა ვარიანტით განალაგეს. გამოსაცდელთ დაავალეს მოეხდინათ სწორად ჩართვის 1200 ცდა. ერთ ქურაზე დაშვებულ იქნა 76 შეცდომა, მეორეზე — 116, მესამეზე — 129. და მხოლოდ იქ, სადაც სანთურები ჭადრაკის რიგით იყო დაყენებული, არ დაუშვიათ არც ერთი (!) არასწორი ჩართვა. აი რას ნიშნავს სწორად განლაგებული ობიექტზე კონტროლის ხელსაწყოები და მართვის ორგანოები, ანუ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მანქანის მახასიათებლები შეუფარდო ადამიანის მახასიათებლებს.

თანამედროვე თვითმფრინავის კაბინაში ასობით ხელსაწყოა, და პილოტი მოვალეა კონტროლს უწევდეს ყველას ჩვენებას. თვითეული ცალცალკე დაათვალიეროს? პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს მომქანცავია და მეტად ბევრი დრო მიაქვს. დავიწყეთ მფრინავის მხედველობითი მოქმედების გაანალიზება. და ერგონომიკამ მიაგნო პრინციპს, რომელსაც იყენებენ მართვის პულტების უდიდესი უმრავლესობის განლაგება — გაწყობისას მიღებულია, რომ იმ ხელსაწყოთა ისრები, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას აჩვენებენ, ერთნაირ რაკურსში უნდა იყონ, მაგალითად, ჰორიზონტალურ ხაზად გამართულნი. და თუ ხაზი უეცრად გამრუდდება, ეს მაშინვე მიიპყრობს ყურადღებას.

ერგონომისტებმა გამოარკვიეს, რომ იმ კაცისათვის, რომელიც მართავს ლოკომოტივს ან ქიმიური პროცესების მიმდინარეობას, კონტროლს უწევს ელექტროსადგურის თუ საფეიქრო დაზგების მუშაობას, სრულებითაც არ არის სულ ერთი, თუ რა მხრიდან არის განლაგებული კონტროლის ხელსაწყოები და რა მხრიდან — მართვის ორგანოები, რა ფერისაა პანელი და რა ფერისა — ციფერბლატები, როგორი დატვირთვა მოდის მარცხენა ხელზე, როგორი — მარჯვენაზე, და ბევრი სხვა რამ. სავარძელიც კი არსებით გავლენას ახდენს, მაგალითად, დისპეტჩერის მუშაობის ხარისხზე. ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ერგონომიკის განყოფილებამ სპეციალური კვლევა ჩაატარა, რომ გამოერკვია, როგორია ასეთი სავარძლის „ოქროს კვეთი", და გასცა ამის თაობაზე მეცნიერული რეკომენდაციები.

ერგონომისტის მუშაობა ადამიანის შრომითი საქმიანობის ანალიზიდან იწყება. რა ოპერაციებს და რა თანმიმდევრობით ასრულებს იგი სამუშაო ადგილას? რა ზემოქმედებას ახდენს მასზე ხმაური, ვიბრაცია, მტვრიანობა, განათება, ტემპერატურა, შეფერადება? რას აკეთებს იგი ავარიულ სიტუაციაში? მხოლოდ მაშინ, ამას რომ გაარკვევს, სპეციალისტი-ერგონომისტი" ეძებს ოპტიმუმს და იძლევა რეკომენდაციებს.

— ერთ საკონსტრუქტორო ბიუროში საინტერესო საუბარს შევესწარი, — განაგრძობს ვლადიმერ მუნიპოვი. —ინჟინერ-კონსტრუქტორი ინჟინერ-მხატვარს (ასეთი სპეციალობაც არის) განუმარტავდა თავისი ახალი ჩარხის იდეას. შემდეგ მხატვარმა უთხრა: „ახლა მე გაჩვენებ, როგორი იქნება შენი ჩარხი" და სწრაფად დახატა იგი. „ო, — შესძახა კონსტრუქტორმა, — ახლა ვიცი, როგორ მოვახდინო მისი რაციონალურად განლაგება — გაწყობა!" მხატვარმა კი დაასკვნა: „აბა, რაკი ასეა, იგი ოდნავ შეიცვლება და საბოლოოდ ასეთი სახე ექნება..."

ვფიქრობ — ამ მომენტში იშვა ნაწარმი, რომელსაც არა მარტო მაღალი ტექნიკური ღირსება ექნება, არამედ ლამაზი და საექსპლოატაციოდ მოხერხებულიც გახდება, იმიტომ რომ ჩარხის დაპროექტების პარალელურად დააპროექტეს ადამიანის მოქმედება: აი ასე შეხედავს იგი, ასე და ასე გადაინაცვლებს ადგილს, ასეთი და ასეთი თანმიმდევრობით ჩართავს და გამორთავსო...

საბჭოთა კავშირში შემუშავებულია და ძალაში შევიდა ერგონომიკის პირველი სტანდარტები. შრომითი ოპერაციების ანალიზის გამოკვლევა ხდება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების დახმარებით. მაგალითად, როგორ „მუშაობს" მხედველობა ხელსაწყოთა ჩვენებისა და მნემოსქემების წაკითხვისას? ამ კითხვაზე პასუხი რომ გასცენ, ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლები იკვლევენ და „ასრულებენ" მხედველობის აპარატის ქცევას კომპიუტერებზე.

ანალოგიური კვლევა ვითარდება ახლა სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც. სწორედ ამ მიმართულებით ღონისძიებათა კოორდინაციისთვის ჩაატარეს მოძმე ქვეყნების ეკონომისტებმა მოსკოვში თავიანთი პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

ვ. ბალაშოვი.

(ახალი ამბების სააგენტო)

მსოფლიო დღეს

დრო და ამბები

საქდესის მიმოხილვა

ყველა ხალხის ინტერესებისათვის □ წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე, რომელიც ნიუ-იორკში მიმდინარეობს, ამ კვირაში დაიწყო ზოგადპოლიტიკური დისკუსია. დისკუსიის დროს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები გამოთქვამენ აზრს ყველაზე აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე და ორგანიზაციას უსახავენ გარკვეულ ამოცანებს, ამასთან ითვალისწინებენ მის ძირითად მიზნებსა და პრინციპებს. როგორც საზღვარგარეთის პრესა იუწყება, ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის წინადადებებმა, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს გამოსვლაში. საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს იმით, რომ ახლანდელ პირობებში, როცა ძლიერდება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ტენდენციები, საჭიროა მიღწეული შედეგების განმტკიცება და მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების გზით წინსვლა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენმა ქვეყანამ გენერალური ასამბლეის სესიის განსახილველად შეიტანა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები, რომლებიც პრაქტიკულად შეესაბამებიან ყველა ხალხის ინტერესებს. პირველ პლანზე წამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის და ამავე დროს ატომური იარაღის სამუდამო აკრძალვის საკითხი.

თუ ჩავუღრმავდებით საბჭოთა წინადადების არსს, არ გაგვიძნელდება დასკვნის გამოტანა, რომ იგი გათვალისწინებულია თანამედროვე პირობებში ყველაზე რეალისტური და მაქსიმალურად ეფექტიანი გადაწყვეტის მიღწევისათვის.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას ისახავს მიზნად საბჭოთა კავშირის სხვა წინადადებანიც, მათ შორის განიარაღების საკითხზე მსოფლიო კონფერენციის პრაქტიკული მომზადების შესახებ. საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს დაძაბულობის შენელების დაწყებული პროცესის გაღრმავებას, აღნიშნავს თავის კომენტარში იუგოსლავიის გაზეთი „ბორბა“.

მშვიდობის აქტიური დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების მტკიცე სისტემის შექმნის პოლიტიკა, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებენ სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, შეესაბამება ყველა ხალხის, დიდი და პატარა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს.

ვაშინგტონში გაიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის 28-ე ყოველწლიური სესია. სესიის მონაწილენი — 124 ქვეყნის წარმომადგენლები — კვლავ ეძებდნენ გამოსავალს ღრმა სავალუტო-ფინანსური კრიზისიდან, რომელიც უკვე დიდი ხანია აზანზარებს დასავლეთს. სავალუტო ციებ-ცხელება დასავლეთში გამოწვეულია იმით, რომ განუწყვეტლივ ეცემა ამერიკული დოლარისა და ინგლისური გირვანქა სტერლინგის კურსი, რომლებიც ბრეტონ-ვუდსის 1944 წლის შეთანხმების შემდეგ კაპიტალისტური სამყაროს ძირითად სანგარიშსწორებო ერთეულს წარმოადგენდნენ.

დოლარისა და გირვანქა სტერლინგის კრიზისი გამოწვეულია იმ ცვლილებებით, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროში მოხდა ომის შემდგომ პერიოდში, სახელდობრ, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის პოზიციების შედარებითი შესუსტებით მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში და საერთო ბაზრის წევრი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის პოზიციების გაძლიერებით. დოლარის კრიზისს ამასთან აღრმავებს ამერიკის მზარდი ინფლაცია და სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, რომლებიც გამოწვეულია უწინარეს ყოვლისა გამალებული შეიარაღებისა და ინდოჩინეთის აგრესიული ომისათვის გიგანტური არამწარმოებლური ხარჯებით.

ვაშინგტონი არაერთგზის შეეცადა განემტკიცებინა თავისი ვალუტის შერყეული პოზიციები. მაგალითად, შარშან მან განახორციელა საგანგებო ეკონომიური ღონისძიებანი და, კერძოდ, შეწყვიტა დოლარის გაცვლა ოქროზე, რათა თავიდან აეცილებინა თავისი ოქროს მარაგისა და სავალუტო რეზერვების შემდგომი გადინება. საქმე ის არის, რომ შეერთებული შტატების სავაჭრო პარტნიორები ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ მილიარდობით დაგროვილი გაუფასურებული დოლარი. მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, დოლარის კურსი კვლავ განუხრელად ეცემოდა, რამაც მკვეთრად გაამწვავა წინააღმდეგობა დასავლეთის მთელ სავალუტო-საფინანსო სისტემაში.

ბევრმა ქვეყანამ, პირველ რიგში დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, აგრეთვე იაპონიამ მოითხოვეს ამ სისტემის ძირეული გარდაქმნა და მისი მოწესრიგება რეალური მდგომარეობის შესაბამისად. მაგრამ, როგორც სესიაზე პრეზიდენტ რ. ნიქსონისა და ამერიკის ფინანსთა მინისტრის ჯ. შულცის გამოსვლებმა გვიჩვენა, შეერთებული შტატები კვლავინდებურად ცდილობს შეინარჩუნოს პრივილეგირებული მდგომარეობა დასავლეთის სავალუტო-საფინანსო სისტემაში და თავისი პრობლემები (კერძოდ, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი) გადაჭრას მოკავშირეთა ხარჯზე.

შულცის მიერ წამოყენებული გეგმა მკაცრად გააკრიტიკეს სესიაზე. გადაწყდა იგი განსახილველად გადასცენ ფონდის ფარგლებში შექმნილ „20 ქვეყნის კომიტეტს“, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს დასავლეთის საფინანსო სისტემის რეფორმის რეკომენდაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემდგომი სესიისათვის, რომელიც გაისად გაიმართება.

ამრიგად, ნორვეგიამ მტკიცე უარი უთხრა „საერთო ბაზარს“. აქ მოწყობილი რეფერენდუმის დროს ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში ამ ქვეყნის შესვლის წინააღმდეგ ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე მოქალაქეთა 53,49 პროცენტმა.

ასეთი შედეგი მოულოდნელი არ არის. ნორვეგიის, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობას გაფრთო აქვს შეგნებული, რომ „საერთო ბაზრის“ — ამ ჩაკეტილი ეკონომიური დაჯგუფების არსებობა, რომელსაც მძლავრი ეროვნული მონოპოლიები მართავენ, ხელს აძლევს მხოლოდ მსხვილ საერთაშორისო კაპიტალს, „ბიზნესის მეფეებს“, და მილიონობით უბრალო ადამიანს არაფერს არ მოუტანს, გარდა მათი ცხოვრების დონის შემდგომი დაქვეითებისა, ეკონომიური და სოციალური პრობლემების გამწვავებისა. ნორვეგიის პროგრესულ პრესას არაერთგზის აღუნიშნავს, რომ, თუ ქვეყანას ჩაითრევენ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში, ეს სერიოზულ ზარალს მიაყენებს ნორვეგიის ეკონომიკის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა თევზჭერა და სოფლის მეურნეობა.

ამასთან ნორვეგიელებს, ისევე როგორც სხვა დასავლეთევროპელებს, სულ უფრო უკეთ ესმით სხვა რამეც: ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში ამა თუ იმ ქვეყნის წევრობა უცილობლად გამოიწვევს მისი დამოუკიდებლობის შელახვას, ხოლო გარკვეული იმპერიალისტური ძალების ცდები მიაღწიონ პოლიტიკურ და სამხედრო „ინტეგრაციასაც“ ევროპის ეკონომიური გაერთიანების ფარგლებში, იმის საფრთხესაც ქმნის, რომ ამ გაერთიანების წევრებს ჩაითრევენ ნატოს აგრესიულ ავანტიურებში. ლონდონის „ტაიმსი“ ამას წინათ მეტისმეტად გულახდილად წერდა, რომ ნორვეგიისა და დანიის შესვლა „საერთო ბაზარში“ დიდმნიშვნელოვანია ნატოსათვის“. და განა შემთხვევითია, რომ სწორედ ნორვეგიაში რეფერენდუმის წინ ნატომ ამ ქვეყნის ნაპირებთან მოაწყო თავის ისტორიაში უდიდესი „სამხედრო კუნთების“ დემონსტრაცია — მანევრები „სტრონგ ექსპრესი“? როგორც „ლუმანიტე“ აღნიშნავს, ამ მილიტარისტული დემონსტრაციის ერთ-ერთი მიზანი იყო დაეშინებინა ნორვეგიის საზოგადოებრიობა აეძულებინა ნორვეგიელები დასტური მიეცათ „საერთო ბაზრისათვის“.

იმ ფაქტს, რომ ნატოს სტრატეგებს „საერთო ბაზარი“ მიაჩნიათ ამ სამხედრო ბლოკის ეკონომიურ ბაზად, ახლა ადასტურებს თვით დასავლეთის პრესაც. განმარტავს რა ნორვეგიაში რეფერენდუმის შედეგებს, იგი წერს, რომ ამ შედეგებმა დაბნეულობა და პესიმიზმი გამოიწვია არა მარტო „საერთო ბაზრის“ ბრიუსელის შტაბ-ბინაში, „არამედ ნატოს შტაბებშიც“. „ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში მონაწილეობაზე ნორვეგიის უარი და დანიის შესაძლო უარი საფრთხეს უქმნის ნატოს ჩრდილოეთის ფლანგს“, — წერს იტალიის გაზეთი „ჯორნო“. ხოლო, როგორც ნატოს ბიულეტენი „ნეველ ატლანტიკა“ მოწმობს, ატლანტიკური ბლოკის ხელმძღვანელები „სულ უფრო მეტად შიშობენ, რომ ნორვეგიის უარმა გავლენა არ მოახდინოს სკანდინავიის ნატოს წევრი ქვეყნების ორიენტაციის შეცვლაზე ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მიმართულებით“.

კონგოს სახალხო რესპუბლიკაში დამთავრდა ქვეყნის მმართველი კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი უცხოეთის მთელი რიგი კომპანიების ნაციონალიზაციის შესახებ, ქვეყნიდან კერძო და უცხოეთის კომპანიების მოგების გატანის შეზღუდვის შესახებ, აგრეთვე აფრიკა-მალაგას-მავრიკიის საერთო ორგანიზაციიდან კონგოს სახალხო რესპუბლიკის გასვლის შესახებ. რით არის გამოწვეული ეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი? კონგოს შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს ღონისძიებანი განახორციელა დემოკრატიული და პატრიოტული ძალების ამასწინანდელი ეროვნული კონფერენციის რეკომენდაციით. მან, გამოხატავს რა ხალხის ფართო მასების ინტერესებს, მოუწოდა კვლავ განამტკიცონ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ კონგოს სახალხო რესპუბლიკის წინანდელმა მთავრობამ მოახდინა ელექტროენერგიის წარმოებისა და განაწილების, შაქრის მრეწველობის საწარმოების, გზატკეცილებისა და რკინიგზების ნაციონალიზაცია, გააუქმა უცხოეთის კომპანიების ტყის კონცესიები. ამიტომ ნაციონალიზაციის ახალი ღონისძიებანი ლოგიკური გაგრძელებაა იმ კურსისა, რომელსაც კონგოს შრომის პარტია ადგას მშრომელთა ინტერესებისათვის ძირეული სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების განსახორციელებლად.

განმარტა რა პლენუმის გადაწყვეტილებანი, ქვეყნის პრეზიდენტმა მარიან ნგუაბიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ღონისძიებანი დასაბუთებულია და დროულია. ისინი მიზნად ისახავენ, თქვა პრეზიდენტმა, ბოლო მოეღოს უცხოეთის მონოპოლიების მიერ ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეთა ძარცვას.

რაც შეეხება კონგოს სახალხო რესპუბლიკის გასვლას აფრიკა-მალაგას-მავრიკიის საერთო ორგანიზაციიდან, ეს ღონისძიება ნაკარნახევია კონგოს ხელმძღვანელთა რწმენით, რომ ეს რეგიონალური დაჯგუფება ნეოკოლონიალისტური გავლენის გამტარებელია და ამჟამად არსებითად ეწინააღმდეგება აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციას. საკმარისია ითქვას, რომ წარსულში ეს ორგანიზაცია, რომელიც ფორმალურად არ აცხადებდა პრეტენზიას პოლიტიკურ საქმიანობაზე, მკვეთრად ესხმოდა თავს გვინეისა და აფრიკის მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების პროგრესულ კურსს.

ამ ორგანიზაციის წევრად ყოფნის დროს კონგოს სახალხო რესპუბლიკა ილაშქრებდა მის ხელმძღვანელობაში რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ, ახლა, კონგოს ლიდერთა აზრით, დადგა ჟამი გადაჭრით გაემიჯნონ აფრიკა-მალაგას-მავრიკიის საერთო ორგანიზაციის ამგვარ საქმიანობას.

დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი □ ნორვეგიამ უარყო „საერთო ბაზარი“

ოტავა

პ. ტრიუდოს გამოსვლა

2 ოქტომბერი. (საქდესი). ქალაქ ტორონტოში გამოსვლისას კანადის პრემიერ-მინისტრმა პ. ტრიუდომ აღნიშნა, რომ 1968 წლის შემდეგ კანადამ გადასინჯა თავისი კურსი საერთაშორისო ასპარეზზე, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი საგარეო პოლიტიკის ჰორიზონტები.

თავისთავად ცხადია, თქვა პრემიერ-მინისტრმა, რომ კანადის ინტერესებს შეესაბამება საბჭოთა კავშირთან — ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესება და ის, რომ ამ ურთიერთობას აშკარა და საქმიანი საფუძველი შეექმნას. ეს შექმნიდა შესაძლებლობას წარსულის ეჭვისა და შიშის ნაცვლად მეგობრობის დასამყარებლად. მთავრობა კმაყოფილია იმით, რომ ჩვენ ეს პრაქტიკულად განვახორციელეთ, დავადექით ამ გზას.

ჩვენ ბევრი რამ შევიძინეთ. კმაყოფილი ვართ, რომ ხელი შევუწყვეთ დაძაბულობის შენელებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში. ბევრი რამ შევიძინეთ შორს გამიზნული და სულ უფრო მზარდი ინფორმაციის გაცვლითა და გამოცდილების გაზიარების სულ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებსა და მეცნიერებს შორის.

პ. ტრიუდომ განაცხადა, რომ კანადის ახალმა კურსმა საერთაშორისო საქმეებში ხელი შეუწყო მისი პრესტიჟის ზრდას, მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანია კანადის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ჩვენი დამოუკიდებლობა, აღნიშნა მან, ზიანს არ აყენებს სხვა ქვეყნების ინტერესებს.

ბრძოლები ინდოჩინეთში

პარიზი. 2 ოქტომბერი. (საქდესი). სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები კვლავ უტევენ საიგონის ჯარებს ცენტრალური პლატოს რაიონებში, მეკონგის დელტაში, აგრეთვე უშუალოდ საიგონის მახლობლად. როგორც მარიონეტული სარდლობის წარმომადგენლები იუწყებიან, განთავისუფლების ძალების შეტევა ამ ბოლო დღე-ღამის მანძილზე მესამე სამხედრო ოლქში (რომელიც შეიცავს საიგონსა და ახლომდებარე 11 პროვინციას) „ყველაზე სერიოზული აღმოჩნდა ამ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე“.

ამერიკის ავიაციამ პატრიოტთა შეტევის შესაკავებლად 23-ჯერ მასირებულად დაბომბა რაიონი საიგონიდან 15-20 კილომეტრის რადიუსით. დაბომბვა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით საიგონშიც კი ჩაიმსხვრა მინები სახლებში და დიდად დაზიანდა ქალაქის მიდამოებში მდებარე შენობები.

ინტენსიური საარტილერიო მომზადების შემდეგ, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, პატრიოტებმა მძლავრი დარტყმა მიაყენეს მოწინააღმდეგის ჯარებს № 2 გზაზე და მოსპეს მტრის სატრანსპორტო კოლონა. 50 კილომეტრზე საიგონის სამხრეთ-აღმოსავლეთით განთავისუფლების ძალებმა ააფეთქეს ნავთობსაცავი და ნავთობსადენი. № 4 გზაზე, რომელიც მეკონგის დელტას აკავშირებს სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქთან, პატრიოტებმა მოსპეს ხიდი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, და ამით სავსებით გაარღვიეს ამ რაიონში, მოწინააღმდეგის მომარაგების სისტემა.

ნიუ-იორკი. (საქდესი). შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილებსა და მარიონეტულ ჯარებს შორის კუანგნგაის სანაპირო პროვინციაში № 1 გზატკეცილზე, დანანგის სამხრეთით. პატრიოტები მტკიცედ უპყრიათ ხელთ ინიციატივა მოდიკისა და ბატოს რაიონული ცენტრების მიდამოებში.

მძიმე ბრძოლების შედეგად, რომლებიც ამ ბოლო კვირის მანძილზე გრძელდებოდა № 5 გზაზე კამბოჯის პატრიოტულ ძალებსა და პნომპენის ჯარებს შორის, ამ უკანასკნელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ამჟამად პატრიოტები სავსებით უწევენ კონტროლს ამ დიდმნიშვნელოვან გზას, რომლითაც ხორციელდება კამბოჯის დედაქალაქის მომარაგება ბრინჯით.

ჰანოი. 2 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, აგვისტოს დამდეგიდან სექტემბრის დამლევამდე თხიათხიენის პროვინციაში პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურეს 3 სატრანსპორტო კოლონა და მოსპეს 103 სამხედრო მანქანა.

ექსპედიცია

პარიზი. „კალიფსო“ — ზღვის სიღრმეების ცნობილი მეცნიერ-მკვლევარის ჟ.-ი. კუსტოს ოკეანოგრაფიული ხომალდი გავიდა მონაკოს ნავსადგურიდან და გაემართა ანტარქტიდის წყლებში, რომლებსაც ახლა „მსოფლიო ოკეანის ყველაზე უფრო ჭუჭყიან ნაწილს“ უწოდებენ.

ჟ.-ი. კუსტომ თავისი ახალი ექსპედიციის მონაწილეთა წინაშე დასახა ამოცანა შეისწავლონ ანტარქტიდის ზღვის ცხოველთა ბიოლოგია, აგრეთვე ცისფერ ვეშაპებზე, სელაპებზე, პინგვინებზე და სხვა ცხოველებზე გარემოს გაჭუჭყიანების შედეგების გავლენა.

ზღვაში გასვლის წინ თავის განცხადებაში კუსტომ გამოთქვა სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ჩვენს პლანეტაზე წყდება იშვიათი და საინტერესო ცხოველები. ახლა, თქვა მეცნიერმა, მსოფლიოში დარჩა ძალიან ცოტა ცისფერი ვეშაპი — დედამიწის ყველაზე დიდი ცხოველი. არის საშიშროება, რომ ეს ვეშაპები ძალიან მალე გაქრება, თუ არ განვახორციელებთ უმკაცრესი ღონისძიებანი მათ დასაცავად.

ჟ.-ი. კუსტოს ექსპედიცია დაახლოებით წელიწად-ნახევარს გაგრძელდება. ხომალდი „კალიფსო“ აღჭურვილია დასაშლელი ვერტმფრენით, მიწისქვეშა ლაბორატორიითა და ახალი კინო და ტელეკამერებით ცივ წყალში წყალქვეშა გადაღებებისათვის.

ყალბი ანგარიშები

ნიუ-იორკი. მილიონ დოლარზე მეტი მიითვისა „ფერსტ ნეშნლ ბენკის“ ვიცე-პრეზიდენტის ყოფილმა თანაშემწემ გერმან ბონზეგმა.

ეს დარბაისელი ჯენტლმენი მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს ბანკში 35 წლის მანძილზე, სარგებლობდა ხელმძღვანელობის დიდი ნდობით და დიდ ხელფასსაც იღებდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის შეედგინა ყალბი ანგარიშები და ჩაედება მოზრდილი თანხა. ახლა მას ელის 5 წლით პატიმრობა და 5 ათასი დოლარი ჯარიმა ყოველი ყალბი ანგარიშისათვის. ბონზეგმა შეადგინა 45 ყალბი ანგარიში.

ღამით პატარა ქალაქ ნიუპორტში...

ნიუ-იორკი. მილიონობით ჭრიჭინა შეიჭრა ღამით არკანზასის შტატის პატარა ქალაქ ნიუპორტში, სქელი ფენით დაფარა გზები, ტროტუარები, შეძვრა შენობებში.

ნიუპორტელებმა დილით ვერ იცნეს მშობლიური ქალაქი. შემოდგომის გაყვითლებული ფოთლები ხეებზე ჭრიჭინებისაგან გამწვანებულიყო. საგზაო პოლიციამ შეაჩერა ტრანსპორტის მოძრაობა: ქუჩები ყინულივით მოლიპული იყო. მცხოვრებლებს კალათებით გამოაქვთ ბინებიდან დაუპატიჟებელი სტუმრები.

როგორც ენტომოლოგმა ჰარვეი ბარტონმა თქვა, გარკვეულ კლიმატურ ცვლილებებს შეუძლიათ გამოიწვიონ მწერების გადამრავლება. მაგრამ მას არასოდეს არ გაუგია ამდენი ჭრიჭინას მიგრაციის ამბავი.

საქმოსნებმა მაშინვე დაიწყეს მწერების შეგროვება, რათა გაყიდონ შტატის სხვა ადგილებში სათევზაო სატყუარად.

წყალდიდობის შედეგები

სინგაპური. მას შემდეგ, რაც ფილიპინების მთავარ კუნძულს ლუსონს თავს დაატყდა ქვეყნის ისტორიაში უმაგალითო წყალდიდობა, ორი თვე გავიდა, მაგრამ, როგორც მანილიდან იუწყებიან, ლუსონში დიდი ფართობები — დასახლებული პუნქტები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები — ჯერ კიდევ დაფარულია შლამისა და ტალახის ერთმეტრიანი ფენით.

წყალდიდობის დროს დაიღუპა 500 კაცი. მატერიალური ზარალი 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

წვიმები და სუსხი

რიო-დე-ჟანეირო. წვიმებმა და სუსხმა სამხრეთ ბრაზილიაში დიდი ზიანი მიაყენა მარცვლეულის ნათესებს. სპეციალისტთა აზრით ხორბლის მოსავალი ჩვეულებრივზე 40-50 პროცენტით ნაკლები იქნება.

ეპიდემია სან-პაულუში

რიო-დე-ჟანეირო. მენინგიტის ეპიდემია დაიწყო ბრაზილიის უდიდეს ქალაქ სან-პაულუში, აღრიცხულია ამ საშიში სენით დაავადების 1 500-ზე მეტი შემთხვევა. ქალაქში დაიხურა ბევრი სკოლა და საბავშვო დაწესებულება.

მენინგიტთან ბრძოლისათვის შვებულებებიდან გამოძახებულია ყველა მედიცინის მუშაკი.

(საქდესი).

ამბები

● **დანიაში დაიწყო** რეფერენდუმი „საერთო ბაზარში“ შესვლის საკითხზე. თავისი აზრი ამ საკითხზე უნდა გამოთქვას ხმის უფლების მქონე 3,5 მილიონმა დანიელმა. რეფერენდუმს წინ უძღოდა უაღრესად მწვავე პოლიტიკური კამათი. ამ ბოლო დღეების მანძილზე დანიაში გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაციები „საერთო ბაზარში“ ქვეყნის შესვლის წინააღმდეგ.

● **ინდოეთიდან ისლამაბადში** ჩავიდა ავადმყოფ და დაჭრილ პაკისტანელ სამხედრო ტყვეთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან 38 ჯარისკაცი და ოფიცერი და სამი სამოქალაქო პირი.

● **საპარლამენტთაშორისო კავშირის** საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1973 წლის 26-31 იანვარს ჰელსინკში მოეწყოს კონფერენცია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის საპარლამენტთაშორისო კავშირის წევრი ქვეყნების დელეგაციები.

● **ჩაკვდა ბრიუსელისა და ბელგიის** სხვა ქალაქების საქმიანი და სავაჭრო ცხოვრება. 800 ათასმა წვრილმა ვაჭარმა, ხელოსანმა, საბაზღვევო აგენტმა და „საშუალო წოდების“ სხვა წარმომადგენლებმა დაიწყეს ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე ყველაზე დიდი საპროტესტო გაფიცვა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ.

● **გვატემალის პოლიციამ** დააპატიმრა გვატემალის შრომის პარტიის კომუნისტ ხელმძღვანელთა ჯგუფი. საპატიმროში ჩასვეს გვატემალის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბერნარდო ალვარადო მონსონი, აგრეთვე მარიო სილვა ხონამა, უგო ბარიოს კლეე და კარლოს ალვარდო ხერესი.

● **დასავლეთ ბერლინის** ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თანამედროვე საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა მესამე გამოფენა-გაყიდვა. იქ წარმოდგენილია სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების 125 ავტორის 350 ნამუშევარი.

ფაქტები

თეთრ სახლში

ვაშინგტონი. 2 ოქტომბერი. (საქდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა თეთრ სახლში ხელი მოაწერა წერილობით უწყებას იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა მიიღო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა თქვა, რომ შეთანხმება „იმ პროცესის დასაწყისია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეიარაღების ტვირთის შეზღუდვისათვის ახლა და, როგორც ვიმედოვნებთ, მომავალშიც, და ამრიგად ემსახურება ომის საშიშროების შემცირებას“.

დროებით შეთანხმებას 26 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა.

აშშ-ის ორივე პალატამ ეს დოკუმენტი მოიწონა ხმის უდიდესი უმრავლესობით.

アメリカはベトナムから手をひけ

□

იაპონიის ქალაქებში გრძელდება დემონსტრაციები და მიტინგები ვიეტნამში ამერიკული სამხედრო ტექნიკის გაგზავნის წინააღმდეგ. იოკოჰამაში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 20 ათასმა კაცმა. მიტინგზე მათ მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების გაუქმებას. შემდეგ დემონსტრანტები იოკოჰამის ქუჩებში გამოვიდნენ.

სურათზე: მუშტშემართული დემონსტრანტები პროტესტს გამოთქვამენ ამერიკული ტანკების ვიეტნამში გაგზავნის წინააღმდეგ.

ჯაპან პრეს-საქდესის ფოტო.

□

ნიუ-იორკი

გენერალური ასამბლეის სესია

2 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ზოგადი დისკუსიის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა დაეთანხმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლაში მოცემულ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა ევროპა გადაიქცეს ნამდვილად მშვიდობიან კონტინენტად, გარდაიქმნას სახელმწიფოთა ურთიერთობა ევროპის კონტინენტზე ურთიერთგაგებისა და ნდობის საფუძველზე.

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კარიალაინენმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელშეკრულებებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ევროპის ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შარპმა სესიაზე ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა დიდად არის დაინტერესებული ევროპის კონტინენტზე მდგომარეობის ნორმალიზაციით. მან დელეგატებს შეახსენა, რომ სწორედ ევროპა იყო ორი მსოფლიო ომის კერა. მინისტრმა განაცხადა, რომ ცვლილებანი ამ კონტინენტზე ვითარების გაუმჯობესების მიმართულებით „ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებია ახლანდელი თაობის ცხოვრებაში“.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ხნოუპეკმა კმაყოფილებით დაადასტურა, რომ სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოყენებულმა იდეამ უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ გზა გაიკაფა ათასგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად და ახლა მას მხარს უჭერს არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობა.

მაგრამ იმისათვის, რომ ევროპაში საბოლოოდ დამკვიდრდეს მტკიცე მშვიდობა, თქვა შემდეგ ორატორმა, საჭიროა გადავწყვიტოთ დიდი ხნის პრობლემები. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ორი გერმანული სახელმწიფოს მოლაპარაკება. ახლანდელ ვითარებაში არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ ის, რომ ჭიანურდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღების საკითხის გადაწყვეტა. ბ. ხნოუპეკმა დაადასტურა, რომ ჩეხოსლოვაკია დაინტერესებულია მოაწესრიგოს ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. მან ამასთან ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ დასავლეთმა გერმანიამ მიუნხენის შეთანხმება იმთავითვე ბათილად უნდა ცნოს.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. მლადენოვმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ თანმიმდევრულ და აქტიურ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან სოციალისტური ქვეყნები და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი, რომელიც 50 წელია ადგას მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის პოლიტიკას.

პირველი ოქტომბერი პეკინში

პეკინი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). ეროვნული დღესასწაულის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 23 წლისთავის გამო, ისევე როგორც შარშან, პეკინში არ გამართულა მშრომელთა დემონსტრაცია. ქალაქის პარკებში მოეწყო ორგანიზებული სახალხო სეირნობანი. ამ პარკებში სეირნობის მონაწილეებს უშვებდნენ სპეციალური საშვებით. დიპლომატებისათვის, ჟურნალისტებისა და სხვა უცხოელი სტუმრებისათვის გაიმართა დარბაზობა.

„იჰეიუანის“ პარკში (იმპერატორის ყოფილი საზაფხულო სასახლე), რომლის პავილიონებში აღდგენილია „კულტურულ რევოლუციამდე“ არსებული მორთულობა, პეკინელებთან ერთად იყვნენ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ჩინელი ემიგრანტები.

გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“, ჟურნალმა „ხუნციმ“ და გაზეთმა „ძეფანძიუნ ბაომ“ 1 ოქტომბერს დაბეჭდეს მოწინავე სტატია, რომელიც შეიცავს ჩინეთის პროპაგანდის ცილისმწამებლურ ანტისაბჭოურ მონაჩმახებს.

კაირო

შეტაკებანი საზღვარზე

2 ოქტომბერი. (საქდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა არაბული ქვეყნების ლიგას მიმართეს თხოვნით სასწრაფოდ გაგზავნოს საშუამავლო მისია მათ ქვეყნებში რათა „ახლანდელი სასაზღვრო შეტაკებანი არ გადაიქცეს ფართო საომარ მოქმედებად“.

ამ ბოლო დროს ვითარება იემენის არაბთა რესპუბლიკისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე მკვეთრად გამწვავდა საუდის არაბეთის ფეოდალურ წრეებთან და მათ ზურგს უკან მდგომ საერთაშორისო იმპერიალისტურ ძალებთან დაკავშირებული რეაქციული ელემენტების ხრიკების მეოხებით. მოხდა მთელი რიგი შეიარაღებული შეტაკებები, რომელთა შედეგად ორივე მხარეს ჰყავს დახოცილნი და დაჭრილნი.

არაბული ქვეყნების ლიგამ მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს დროში გაგზავნოს ადენსა და სანაში საშუამავლო მისია ალჟირის, ეგვიპტის, კუვეიტის, ლიბიისა და სირიის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ვაშინგტონი

ლაპარაკობენ ქალაქის მერები

2 ოქტომბერი. (საქდესი). აგრესია ვიეტნამში ამერიკის ქალაქების მზარდი კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია. ეს განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების 20 ქალაქის მერებმა, რომლებიც შეიკრიბნენ პრეს-კონფერენციაზე ვაშინგტონში.

პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას, ბოსტონის მერმა კ. უაიტმა თქვა, რომ ქალაქების რთული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ „ბოლოს მოვუღებთ ომს“.

ქალაქ დავენპორტის მერმა კ. კირშბაუმმა განაცხადა: „დავენპორტში მეტისმეტად ბევრი ადამიანი უმუშევარია, არ არის საჭირო სამედიცინო მომსახურება. მე ვიცი, რომ მათ სურთ ბოლო მოეღოს ომს. მათ ესმით, რომ ჩვენ ვბომბავთ ქალაქებსა და კაშხალებს“.

პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა ბევრმა მერმა აღნიშნა გადასახადებისა და უმუშევრობის ზრდა, სამედიცინო მომსახურებისა და საქალაქო ტრანსპორტის ჩამორჩენილი სისტემა, და ამერიკის ქალაქების ეს „ავადმყოფობანი“ დაუკავშირა ვიეტნამის ომის განგრძობას და უზარმაზარ სამხედრო ხარჯებს.

გააკრიტიკა რა ვაშინგტონის პოლიტიკური კურსი, ნიუარკის მერი კ. გიბსონი, კერძოდ, შეეხო ქალაქის ღარიბთა ღატაკურ მდგომარეობას. „ღარიბები ისეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არიან, როგორც 1967 წელს“, — განაცხადა მან. 1967 წელს ნიუარკში, როგორც ცნობილია, მოხდა უპოვართა მასების სტიქიური გამოსვლა, რომლის დროსაც პოლიციელებმა დახოცეს 25-ზე მეტი კაცი.

მთავრობის პოლიტიკა გადასახადების დაბეგვრის დარგში, რომელიც განსაკუთრებით უსამართლოა მცირე შემოსავლის მქონე ოჯახების მიმართ, თავის გამოსვლაში დაგმო სირაკუზის მერმა ლ. ალექსანდერმა. ნიუ-იორკის მერმა ჯ. ლინდსეიმ აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ იფურჩქნება რასიზმი.

ნიქოზია

მაკარიოსის განცხადება

2 ოქტომბერი. (საქდესი). პრეზიდენტი მაკარიოსმა ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს შეეხო კვიპროსის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა ძირგამომთხრელ საქმიანობას.

„მთავრობისათვის, — თქვა მან, — ცნობილი გახდა კუნძულზე იარაღის უკანონო შემოტანისა და გენერალ გრივასის ხელმძღვანელობით მოქმედი ორგანიზაციების შეიარაღების ფაქტი“.

„ეს ორგანიზაციები, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — ობიექტურად კვიპროსის რესპუბლიკის მტრები არიან. მათ მიერ იარაღის გამოყენების ცდას გარდუვალად მოჰყვება სისხლისღვრა. კვიპროსელი ხალხი არასოდეს არ დაემორჩილება ძალმომრეობას. იგი ბოლომდე იბრძოლებს თავისი ქვეყნის ბედის გადაწყვეტის უფლების დასაცავად“.

ლონდონი

მორიგი მსხვერპლი

2 ოქტომბერი. (საქდესი). ჩრდილოეთ ირლანდიაში უშიშროების ძალები, რომლებიც საუცხოო გაწვრთნილობას ცხადყოფენ კათოლიკურ უბნებში „უწესრიგობის“ ჩახშობისას, სრულ უსუსურობას იჩენენ ექსტრემისტთა დანაშაულის გამოძიების დროს. გუშინ ბელფასტის პოლიციამ განაცხადა, რომ მას არ გააჩნია არავითარი მონაცემები 23 წლის სტუდენტის ფრენსის ლეინის მკვლელობის საქმის გამო, რომლის ცხედარი აღმოაჩინეს ქალაქის ერთ-ერთ მიყრუებულ ადგილას. როგორც ვარაუდობენ, ფრენსის ლეინის მკვლელობით „ულტრებმა“ ანგარიში გაუსწორეს მამამისს — ცნობილ ბელფასტელ ქირურგს.

შარშან მან ამხილა ლონგ კეშის საკონცენტრაციო ბანაკში ირლანდიელი პოლიტიკური პატიმრების წამება და ცემა, რასაც მიმართავენ ბრიტანეთის ჯარისკაცები. ამის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ექიმმა ინგლისის თავდაცვის სამინისტროს დაუბრუნა ჯილდოები, რომლებიც მიღებული ჰქონდა 1939-1945 წლებში სამხედრო სამსახურის დროს.

ფრენსის ლეინი მიმდინარე წლის ივნისის დამლევიდან ექსტრემისტთა ტერორისტული აქტების 64-ე მსხვერპლია.

ჟან მარეს უბედურება შეემთხვა

პარიზი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). სატელევიზიო ფილმის გადაღების დროს უბედურება შეემთხვა ცნობილ ფრანგ მსახიობს ჟან მარეს. იგი მოტოციკლით შეასკდა კლდეს. მსახიობი გაგზავნეს საავადმყოფოში. იგი „მეტად მძიმე მდგომარეობაშია“.

როგორც ვიცით, ჟან მარე არასოდეს არ იყენებს დუბლიორებს მისი მონაწილეობით ყველაზე საშიში სცენების გადაღებისას.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ

ს. იმნაიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

ᲐᲠᲘᲐᲜ ადამიანები, რომელთა რევოლუციური შემართება, ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლა სამაგალითოა შემდგომი თაობებისათვის. ასეთების რიცხვს ეკუთვნის სამსონ ესეს-ძე იმნაიშვილი, რომლის დაბადებიდან სრულდება 70 წელი.

ს. იმნაიშვილი დაიბადა 1902 წლის 2 ოქტომბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, ღარიბი მუშის ოჯახში. ნიჭიერმა ყმაწვილმა წარმატებით დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა. სწავლა სწყუროდა, მაგრამ სიღარიბემ არ მისცა ამის საშუალება და ყმაწვილი წავიდა სამუშაოდ რკინიგზაზე, გვერდში ამოუდგა მამას მძიმე შრომაში, რომ ცოტათი მაინც დახმარებოდა მრავალრიცხოვან ოჯახს.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელი ხალხი თავდადებით იბრძოდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური მონობის მოსასპობად.

ს. იმნაიშვილი 15 წლის ყმაწვილი მთელი არსებით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. იგი ენთუზიაზმით ასრულებდა ძველი რევოლუციონერების ყოველ დავალებას. შრომასა და ბრძოლაში ნაცადი ახალგაზრდა 1917 წელს მიღებულ იქნა კომკავშირის რიგებში. ეს იყო მენშევიკების ბატონობის მძიმე წლები.

კომკავშირში მუშაობის დროს მან გამოამჟღავნა მშრომელი ახალგაზრდობისადმი ხელმძღვანელობის ორგანიზატორული ნიჭი და უნარი. თავისი თავდადებული შრომით ახალგაზრდობაში მალე დაიმსახურა ნდობა, პატივისცემა და სიყვარული. 1919 წელს, როგორც მოწინავე კომკავშირელი აქტივისტი, მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის რიგებში. ამან ს. იმნაიშვილი აღაფრთოვანა, ფრთები შეასხა და კიდევ უფრო მეტი თავდადებით იბრძოდა ლენინური იდეების ცხოვრებაში გატარებისათვის. მან კარგად აითვისა არალეგალურ პირობებში პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. პარტიულ დავალებებს ასრულებდა დროულად და ზუსტად, ამავე დროს ბევრს მუშაობდა თავისი იდეური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლაში მენშევიკების დიქტატურის მოსასპობად.

მალე დადგა ნანატრი დღე. ბოლო მოეღო მენშევიკების ბატონობას, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სხივმა საქართველოშიც შემოანათა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. იმნაიშვილი 1921 წელს არჩეულ იქნა კომკავშირის ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც მუშაობდა რამდენიმე წელს, შემდეგ გადაყვანილ იქნა კომკავშირის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტში პასუხსაგებ სამუშაოზე. ის ახალგაზრდობას ზრდიდა კომუნისტური სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის მარად ცოცხალი მოძღვრების და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. კომკავშირში თავისი აქტიური მუშაობით გულისხმიერმა და საყვარელმა ადამიანმა წარუშლელი კვალი დატოვა.

1924 წელს ს. იმნაიშვილი გაწვეულ იქნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. ჩაირიცხა პირველ ქართულ მსროლელ პოლკში წითელარმიელად. მან, როგორც პოლიტმეომარმა, საბჭოთა არმიის რიგებში მალე გამოამჟღავნა თავისი ცოდნა, საქმისადმი ერთგულება და მუშაობის უნარი.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ნაწილის პარტიულ ხელმძღვანელობას და მალე ს. იმნაიშვილი დაინიშნა პოლკის ერთ-ერთი ასეულის პოლიტხელად. მან კარგად აითვისა საბჭოთა არმიაში მუშაობის ფორმები და მეთოდები, ალღო აუღო მუშაობის თავისებურებებს და გააჩაღა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ასეულის პირად შემადგენლობაში. იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, უზრუნველყოფდა საბრძოლო-პოლიტმომზადების საქმეში კომუნისტებისა და კომკავშირელების პირადი მაგალითის განხორციელებას, ეხმარებოდა მეთაურებს მებრძოლთა საბრძოლო-პოლიტმომზადების ამაღლებისა და რკინისებური სამხედრო დისციპლინის განმტკიცების საქმეში. პირადად ეწეოდა დიდ აღმზრდელობით მუშაობას ოფიცრებთან და მეომრებთან. ამავე დროს ბევრს მუშაობდა თავისი ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

მისმა ენერგიულმა, თავდადებულმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. მალე ნაწილი მოწინავეთა რიგებში ჩადგა; ამან კიდევ უფრო მეტად აღაფრთოვანა ახალგაზრდა პოლიტხელი.

ს. იმნაიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე: იყო ნაწილის პარტკოლექტივის პარტბიუროს პასუხისმგებელი მდივანი, დივიზიის პარტკომისიის მდივანი, პოლკის სამხედრო კომისარი და საქართველოს სამობილიზაციო ოლქის სამმართველოს უფროსი. ყველა ამ თანამდებობაზე პარტიულ და სამხედრო მოვალეობას ასრულებდა პირნათლად, მასებში სარგებლობდა პატივისცემით და დამსახურებული ავტორიტეტით.

არასოდეს არ წაიშლება ჩემს მეხსიერებაში სამსონ იმნაიშვილთან პირველი შეხვედრა. ეს იყო 1927 წლის 2 ოქტომბერს. ქართული სამხედრო მეთაურთა სკოლის დამთავრების შემდეგ მე, მიხეილ ჩახუნაშვილი, ნიკოლოზ შავიანიძე და ალექსანდრე სხირტლაძე დანიშნული ვიყავით ოცეულის მეთაურებად პირველ ქართულ მსროლელ პოლკში. სამსონ იმნაიშვილმა, როგორც პოლკის პარტბიუროს პასუხისმგებელმა მდივანმა, მიგვიწვია პარტბიუროში და გულთბილად გვესაუბრა. ეს საუბარი იყო ნამდვილი მამაშვილური, რომელმაც ჩვენ, ახალგაზრდა ოფიცრებს, გზა გაგვიკვლია ახალ პირობებში. შემდგომში ს. იმნაიშვილი ხშირად გვხვდებოდა პოლკში, ყოველგვარ დახმარებას გვიწევდა წითელარმიელთა ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საქმეში.

მეთაურებთან და მეომრებთან, დაძაბულად რომ მუშაობდა, ის მუდამ ზრუნავდა თავისი ცოდნის ამაღლებისათვის: მას კარგად ესმოდა, რომ აღმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი, რომ აღმზრდელს უნდა ჰქონდეს ცოდნის დიდი მარაგი. ამ მხრივ მან ჩინებულად გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი პირობები. იგი შევიდა მუშათა ფაკულტეტზე და 1929 წელს წარჩინებით დაამთავრა მუშფაკი, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე.

სწავლით შეძენილი ცოდნა მას ხელს უწყობდა უზრუნველეყო უნარიანი ხელმძღვანელობა დანაყოფებისა და ნაწილებისადმი, საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების საქმეში მიეღწია მაღალი მაჩვენებლებისათვის. წითელი არმიის ათი წლისთავზე საქართველოს ცაკის მიერ იგი დაჯილდოებულ იქნა სიგელით, რომელშიც ვკითხულობთ: „ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲐᲠ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲐᲓ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲐᲜᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. დააჯილდოვეს აგრეთვე საბრძოლო იარაღით — მაუზერით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲐᲠ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲐᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ“.

დიახ, იგი ერთგულად ემსახურებოდა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა და სამშობლოს აყვავების საქმეს, ზრდიდა მეომრებს კომუნისტური სულისკვეთებით. მაგრამ ჯანღონით სავსე ვაჟკაცის, რევოლუციის ერთგული ჯარისკაცის, პოლკის კომისრის ს. იმნაიშვილის გულისცემა უდროოდ შეწყდა 1943 წლის ივნისში.

კომუნისტური პარტიის ერთგულმა შვილმა ს. იმნაიშვილმა თავისი სიცოცხლის მოკლე დროშიც კი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა არმიის რიგების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან საქმეში. მისი ცხოვრება იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა ვიბრძოდეთ კომუნისტური პარტიის დიადი იდეების განხორციელებისა და ხალხის ბედნიერებისათვის.

ნ. კალაძე,
გადამდგარი გენერალ-მაიორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐ-ᲑᲐᲠᲨᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ იმყოფებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი, რომლებიც საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით მეგობრულ ტურნეს აწყობენ სსრ კავშირში. ეს გასტროლები ეძღვნება საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 23-ე წლისთავს.

1 ოქტომბერს თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული თვითმოქმედი მსახიობების პირველი კონცერტი.

გერმანულ სიმღერებთან და საცეკვაო ფოლკლორთან ერთად პროგრამაში ფართოდ არის წარმოდგენილი რუსული, უკრაინული სიმღერები და ცეკვები. სპეციალური განყოფილება ეძღვნება სოციალისტური ქვეყნების პოპულარულ მელოდიებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვითმოქმედი მსახიობები გამართავენ კიდევ რამდენიმე კონცერტს, შეხვდებიან თბილისის საწარმოთა მხატვრული თვითმოქმედების ხელოვნებს, დაათვალიერებენ ჩვენი დედაქალაქის, მცხეთის, გორის ღირსშესანიშნაობებს, ნახავენ ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, შეხვდებიან ქართველ ლიტერატორებსა და ხელოვნების მოღვაწეებს. (საქინფორმი).

ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „დეტსკაია ლიტერატურას“ მერვე ნომერი საქართველოს საბავშვო ლიტერატურას ეძღვნება. სარედაქციო წერილში მოთხრობილია საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის დიდ ტრადიციებზე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ დიდი რუსი პოეტების გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის შემოქმედება როგორ იყო დაკავშირებული საქართველოსთან.

ჟურნალში დასტამბულია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის გ. აბაშიძის წერილი — „ქვეყნიდ ბავშვებისთვის“, მ. ლებანიძის „ალმასხის ფურცლებზე“, ნ. ზეროვლაძის „ღრმა ფესვებით“, მ. ორმაძის „ნაკადულის“ სეროხული გამოცემები, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის ა. დვალიშვილის „ჩვენი საბავშვო თეატრები“ და სხვ.

ჟურნალი მკითხველებს აცნობს იმ ქართველი მწერლების მოკლე ბიოგრაფიებს, რომლებიც ბავშვებისათვის წერენ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს. აქვე დაბეჭდილია გამომცემლობა „ნაკადულის“ მხატვრების მოკლე ბიოგრაფიები, მათი რამდენიმე ნიმუში, შესრულებული საბავშვო გამოცემებისათვის. „დეტსკაია ლიტერატურას“ ფურცლებზე დასტამბულია დიდი ქართველი მწერლების ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის პორტრეტები.

მკითხველი გაეცნობა აგრეთვე ე. კორკინის საინტერესო წერილს, მიძღვნილს ლადო გურამიშვილისადმი.

ᲔᲟᲘ ᲖᲐᲒᲣᲠᲡᲙᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). აჭარაში რამდენიმე დღე სტუმრად იყო ცნობილი პოლონელი პოეტი და დრამატურგი ეჟი ზაგურსკი, რუსთაველის უკვდავი პოემის პოლონურ ენაზე მთარგმნელი.

სტუმარს აჭარის მწერლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ეჟი ზაგურსკიმ ჯერ ქართულად, ხოლო შემდეგ პოლონურად წაიკითხა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“.

„ვეფხისტყაოსანი“ პოეტის ერთადერთი თარგმანი როდია. მან პოლონელ მკითხველს უკვე გააცნო გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. ნონეშვილის და სხვ. ლექსები.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ მოპოვება ხშირად ხდება ნაპირიდან მოშორებით ზღვაში ან ოკეანეში. ღია ზღვაში მუდმივი ქარებისა და შტორმების ბატონობა ყოველთვის წინა პლანზე აყენებს ნავთის რეზერვუარების დიდ გამძლეობას.

ამერიკის ფირმამ „ფილიპსმა“ გამოაცხადა კონკურსი ოკეანეში დიდი მოცულობის რეზერვუარის პროექტის შექმნაზე. ამ კონკურსში გაიმარჯვა საფრანგეთის კომპანია ᲓᲝᲠᲘᲡᲘᲡ ორიგინალურმა პროექტმა. ავტორები წინადადებას იძლევიან ოკეანეში აიგოს რკინაბეტონის კუნძული — რეზერვუარი. მრავალრიცხოვანი „ფანჯრები“, რომლებშიც თავისუფლად იმოძრავებს ტალღები, ზურგს ნაგებობის გამძლეობას. საკითხ ხ. 30 სართულის სიმაღლის ასეთ რეზერვუარს უკვე აშენებენ ნორვეგიელი და ფრანგი სპეციალისტები. მშენებლობა ჯერჯერობით ხმელეთზე მიმდინარეობს. მომავალი კუნძულრეზერვუარის საძირკველში უნდა ჩაისხას 215 ათასი ტონა ბეტონი. 170 ათასი კუბური მეტრის მოცულობის ნავთსაცავი 140 ათას ტონა ნავთობს დაიტევს.

ᲙᲝᲚᲘᲖᲔᲣᲛᲘ ᲪᲮᲠᲐᲥᲚᲘᲢᲣᲚᲨᲘ

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ, არქიტექტურის განსაცვიფრებელი ძეგლი, რომის კოლიზეუმი დამთვალიერებელთათვის დაკეტილია. ტურისტებს შეუძლიათ მხოლოდ შორიდან დატკბნენ მისი სიდიადით. შენობის ახლომახლო ჩაიკეტა საავტომობილო ტრასები. გიგანტურმა ცირკმა-სტადიონმა, რომელიც ძველად 50 ათას მაყურებელს იტევდა, თვალსა და ხელსშუა ნგრევა იწყო. მარმარილოს უზარმაზარი ფილები ცვივა მისი კედლებიდან, შესასვლელები ბზარებით დაიფარა. კოლიზეუმი, რომელიც არსებობს ორი ათასზე მეტ წელს ითვლის, ინგრევა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მუდმივმა ვიბრაციამ, რომელიც გამოწვეულია ავტომანქანებისა და მეტროს მატარებლების მოძრაობით, შეარყია უნიკალური ნაგებობის საძირკველი და უფრო დიდი ზიანი მიაყენა მას, ვიდრე განვლილმა საუკუნეებმა.

„ტრუდი“.

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲓᲐᲠᲐᲯᲘ

ᲠᲐᲪ უფრო მეტ ეშმაკობას მიმართავენ ქურდები, მით უფრო მრავალფეროვანია მათგან დაცვის ხელოვნება. ინგლისის ქალაქ რედინგში, პატარა კაფეს მფლობელმა ბრაიან ჯონსმა გაიჩინა საკმაოდ ორიგინალური ღამის დარაჯი. ღამის დარაჯი მაზრჩობელა 35 კილოგრამს იწონის. ყოველ საღამოს, კაფეს დაკეტვის შემდეგ ჯონსი გარეთ უშვებს პითონს, დილით კი ისევ ყუთში ამწყვდევს. „ღამის დარაჯი ჯონსს 25 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. არც ისე ძვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქურდები რამდენჯერმე ეწვივნენ კაფეს და წაილეს 200 გირვანქა სტერლინგი, — იუწყება გაზეთი „ველტი“.

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲪ, ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲪ

ᲩᲘᲐᲐᲑᲝᲔᲚᲛᲐ ქალმა ინგრიდ ფაუსმა ქმარს ფული მოსთხოვა, მინდა პროცედურების კურსი გავიარო, რომ გავხდე და ტანწერწეტა ვიყოო.

ქმარმა ფულის ნაცვლად მას მისცა... სამუშაო თავის საკუთარ ფირმაში, რომელიც ბინებში გაზეთებს არიგებს... „მე მისთვის ავირჩიე ყველაზე ძნელი მარშრუტი, სადაც ბევრი კლიენტია სახლების ზემო სართულებზე“, — ამბობს მისტერ ფაუსი. მოკლე ხანში ინგრიდმა წონაში შვიდი კილოგრამი დაკარგა და, გარდა ამისა, მუშაობით ცოტაოდენი ფულიც იშოვნა, იუწყება გაზეთი „ფოლკსშტიმე“.

ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲣᲚᲤᲔᲗ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ

13 ᲨᲕᲘᲚᲡ ზრდის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალის კოლმეურნე ᲣᲚᲤᲔᲗ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ. უმცროსები ჯერ კიდევ სწავლობენ, უფროსები კი უკვე მუშაობენ: რეზო ტრაქტორისტია, ფუფუნა — მოანგარიშე, ზურაბი საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს.

გმირი დედა უ. დუმბაძე კოლმეურნეობის საუკეთესო მეჩაიეა. მას მიმაგრებული აქვს 0,8 ჰექტარი ნაკვეთი, რომელზეც იგი „მწვანე ოქროს“ უხვ მოსავალს იღებს. წელს ულფეთმა ვალდებულება იკისრა ამ ნაკვეთზე 7,5 ტონა ფოთოლი მიიღოს.

ყველა პლანტაციაში მიმდინარეობს მოსავლის აღება. კოლმეურნეობამ უკვე გაგზავნა ფაბრიკაში 850 ტონაზე მეტი ნედლეული, შეასრულა წლიური გეგმა და ვალდებულება.

მოწინავე მეჩაიე ულფეთ დუმბაძე, რომელიც დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, აქტიურად მონაწილეობს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ულფეთ დუმბაძე და მისი შვილები.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲐ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ (დნეპროპეტროვსკი) 3:0 (0:0). თბილისი. 1 ოქტომბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, იზრაილოვი, გავაშელი (პეტრიაშვილი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ — კოლტუნი, არტიუხი, ნაიდა, ივანოვი, ბოგდანოვი, ნაზაროვი, შნეიდერმანი, ევსეენკო, ფედორენკო (კოშლატენკო), პილიპჩუკი (ხრისტიანი), რომანიუკი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ მაყურებელმა პირველად ნახა უმაღლესი ლიგის დებიუტანტის, გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თამაში. „დნეპრი“ ახალგაზრდა, მეგობრული კოლექტივია, იგი ყველა მატჩს მთელი პასუხისმგებლობით თამაშობს და ამიტომ სატურნირო ცხრილში თბილისში ჩამოსვლამდე მესამე ადგილზე იმყოფებოდა. მართლაც, თამაშის პირველმა ნახევარმა დაგვარწმუნა, რომ სტუმრებს შესწევთ უნარი დაიცვან საკუთარი კარი და, თუ საშუალება მიეცემათ, განახორციელონ კონტრიერიში წინ წაწეული გ. რომანიუკითა და ა. პილიპჩუკით. ეს ფეხბურთელებიც საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან უკანა ხაზს და თავიანთ საჯარიმო მოედანს მოწინააღმდეგისათვის ძნელად გასარღვევს ხდიან. ამიტომ იყო, რომ თბილისელებს პირველ ტაიმში, მართალია, ტერიტორიული უპირატესობა ხელთ ეპყრათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტუმრების ერთ-ორ ეპიზოდურ შეტევას, მაგრამ დინამოელებმა ვერ მოახერხეს საჯარიმო მოედანზე შეჭრა და კოლტუნის კარს შორიდან „ბომბავდნენ“ მ. ხურცილავა, დ. ყიფიანი და კ. ასათიანი. სასიამოვნოა, რომ თავისი თამაშის საუკეთესო ფორმას უბრუნდება კ. ასათიანი და მატჩიდან მატჩამდე ოსტატობას სრულყოფს დ. ყიფიანი.

დაიწყო თუ არა თამაშის მეორე ნახევარი, თბილისელებმა თავდრუდამსხმელი შეტევები განახორციელეს. [illegible] მ. ხურცილავა სული და გული იყო უკანა ხაზიდან იერიშების [illegible] და მან 47-ე წუთზე [illegible] 23 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა საჯარიმო მოედანზე სტუმართა მცველს, მას, მიუწრო დ. ყიფიანმა და მოწინააღმდეგე აიძულა თამაში ცენტრიდან დაეწყო. ეს მის მიერ გატანილი მეშვიდე ბურთია მიმდინარე ჩემპიონატში. მასპინძელთა შტურმი არ დამცხრალა, ათი წუთის შემდეგ მ. მაჩაიძემ საჯარიმო მოედნიდან ბურთი უკან დაუბრუნა გ. გავაშელს და ამ უკანასკნელმა მიწიდან შეარხია „დნეპრის“ კარის ბადე.

დინამოელებმა თამაშის სადავეები ყველა რაოდში მთლიანად იგდეს ხელთ. 77-ე წუთზე კ. ასათიანმა უძლიერესად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და უკან დაბრუნდა, რითაც გ. ნოდიამ კარგად ისარგებლა და მესამე ბურთი გაიტანა.

მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0. თბილისის დინამოელებმა მონდომებული, გააზრებული თამაში აჩვენეს.

გ. ბახტურიძე.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲨᲘ ადგილობრივი არმიელები და გათამაშების ლიდერი ვოროშილოვგრადის „ზარია“ თამაშობდნენ. გუნდებმა პირველ ტაიმში ერთმანეთის კარში თითო პენალტი გაიტანეს. თამაშის მეორე ნახევარში ბონდარენკომ და ესკოვმა ანგარიში სამამდე გაზარდეს. მატჩი დამთავრდა 3:1 როსტოველთა სასარგებლოდ.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ „არარატი“ ეთამაშებოდა ლვოვის „კარპატს“. პირველი ბურთი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა ზანაზანიანმა. მატჩის მიწურულს იშტოიანმა ლვოველთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. საბოლოო შედეგია 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ თამაშობდნენ მოსკოვისა და ადგილობრივი დინამოელები. 2:1 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ „დინამო“ მასპინძლობდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს. შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ 2:1.

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐᲨᲘ ადგილობრივმა „კაირატმა“ 1:0 დაამარცხა აუტსაიდერი — ბაქოს „ნეფტჩი“.

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“. მატჩი დამთავრდა 2:0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	25	13	6	4	41-20	32
ცსკა	25	14	3	8	32-26	31
„არარატი“	23	10	7	6	32-22	27
„დინამო“ (თბ.)	23	9	9	5	28-23	27
„დინამო“ (მს.)	24	8	10	6	24-21	26
„დნეპრი“	24	8	10	6	29-30	26
„დინამო“ (მ.)	23	11	3	9	33-27	25
„ზენიტი“	25	7	11	7	27-26	25
„დინამო“ (კ.)	22	8	8	6	34-27	24
სკა	24	7	9	8	27-28	23
„ტორპედო“	23	8	7	8	24-28	23
„კაირატი“	24	5	12	7	18-21	22
„კარპატი“	24	7	6	11	19-30	20
„სპარტაკი“	22	7	5	10	25-24	19
„ლოკომოტივი“	25	3	8	14	23-40	14
„ნეფტჩი“	24	4	6	14	21-44	14

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მატჩები. კუიბიშევში ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა“ 3:0 დაამარცხა კიშინიოვის „ნისტრუ“. პერმში „ზვეზდამ“ მოუგო კრივოიროგის „კრივბასს“ — 1:0, სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ — ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ — 2:1, დონეცკის „შახტიორმა“ — აშხაბადის „სტროიტელს“ — 2:0, ორჯონიკიძის „სპარტაკმა“ — ფრუნზეს „ალგას“ — 3:0, ფრედ — 0:0 დამთავრდა იაროსლავლის „შინნიკის“ და ხარკოვის „მეტალისტის“, ივანოვოს „ტექსტილშჩიკის“ და ლენინგრადის „დინამოს“, ყარაგანდის „შახტიორისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ შეხვედრები.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ — „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ადგილობრივი „ტორპედოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ მატჩი არ გამართულა. იგი გადატანილია სხვა დროისათვის, რადგან „პახტაკორი“ იტალიაში იმყოფება.

ᲠᲔᲒᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲠᲔᲒᲑᲘᲡᲢᲔᲑᲡ — ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩები. მოსკოვში დედაქალაქის სპორტული კლუბის „ფილის“ გუნდი ეთამაშებოდა თბილისის „ლოკომოტივს“. ეს შეხვედრა წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გამოდგა. მასპინძლებმა დიდი ოსტატობით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს 12:0. ამ გამარჯვებით „ფილის“ რეგბისტთა გუნდი საბჭოთა კავშირის 1972 წლის ოქროს მედლის მფლობელი გახდა. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის ოლქის ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა. თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ჩემპიონატში უკანასკნელი ადგილი დაიკავა კიევის „დინამომ“ და გამოეთიშა უმაღლეს ჯგუფს. გაისად მის მაგივრად თბილისის „დინამოს“ რეგბისტთა გუნდი ითამაშებს.

ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘ

ᲡᲙᲝᲞᲘᲔ, 2 ოქტომბერი. (საქდესი). ჩინებულად წარმართა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალური ასპარეზობის მეხუთე ტური სსრ კავშირის გუნდმა. ანგარიშია 3,5:0,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ, რომლებმაც დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი. აი როგორ დამთავრდა პარტიები ამ შეხვედრაში: კორჩნოიმ დაამარცხა ულმანი, სმისლოვმა — კნააკი, ტალმა — ლიბერტი, ფოგტსავონის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ტურნირის ლიდერებმა იუგოსლავმა მოჭადრაკეებმა კვლავ ერთი ნაბიჯით წაიწიეს წინ. მათ დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდი. მასპინძლებმა ოკეანესგაღმელი მოჭადრაკეები დაამარცხეს ანგარიშით 3:1.

ჩეხოსლოვაკიისა და არგენტინის გუნდების შეხვედრაში ჯერჯერობით ანგარიშია 1:1 (ორი პარტია გადადებულია), უნგრეთის ნაკრები აგებს 0,5:1,5 (ორი გადადებული პარტია) შვედებთან. ბულგარელი მოჭადრაკენი ანგარიშით 2:1 (ერთი პარტიის გადათამაშება უნდა მოხდეს) წინ არიან ჰოლანდიელებთან შეხვედრაში, შვეიცარია-რუმინეთის ასპარეზობა კი შეწყდა მაშინ, როცა ანგარიში იყო 1,5:0,5 (ორი გადადებული პარტია) რუმინეთის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

იუგოსლავიის ნაკრებმა 15 ქულა მოაგროვა. სსრ კავშირისა და ესპანეთის გუნდებს 12,5-12,5 ქულა აქვთ. გროსმაისტერმა ტალმა დაამარცხა ბულგარელი მოჭადრაკე რადულოვი პარტიაში, რომელიც ორჯერ გადაიდო. დღეს რადულოვმა მსაჯთა კოლეგიას აცნობა, რომ თავს დამარცხებულად ცნობს. სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდების მატჩის საბოლოო შედეგია 2,5:1,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. უნგრეთის ნაკრებს 12 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

გამოვლინდა ხუთი ნაკრები, რომლებიც გამარჯვებას ერთმანეთს შეეცილება ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალში. ესენია სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდები. კიდევ სამი ფინალისტი გახდება ცნობილი წინასწარი ასპარეზობის მეხუთე ტურში გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ. აქ საბჭოთა გუნდმა დაამარცხა ირლანდიის მოჭადრაკენი — 1,5:0,5. კუშნირმა დაამარცხა ნუნი, ლევიტინამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ო'გლერისთან.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის შემდეგ პრაღას ეწვია კანადელ პროფესიონალ ჰოკეისტთა ნაკრები და მატჩი გამართა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდთან. მატჩი დამთავრდა ფრედ 3:3. კანადელებმა დამარცხებას თავი დააღწიეს საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ დამთავრდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. პირველი ადგილი დაიკავა უნგრეთის ნაკრებმა, მეორე ადგილზე არიან მასპინძლები, მესამეზე — შვედები. საბჭოთა ხუთჭიდელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ იაროსლავლში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 27-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრებიც: 20 (ბაიდარი და კანოე), 24 (თხილამურები), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 35 (სპიდვეი), 37 (სროლა).

შემდეგი ტირაჟი გაიმართება 10 ოქტომბერს ჩელიაბინსკში.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.05 — სკოლების დასახმარებლად — დაწყებითი კლასები (მოთხრობებისა და ზღაპრების გამომეტყველებით კითხვა (I-II კლასებისათვის), 10.30 — კინონარკვევი — „ძალი“, 10.45 — მოსწავლეთათვის — „კოცონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ტელეფილმი — „ღია გაკვეთილი“, 12.05 — სკოლების დასახმარებლად — დაწყებითი კლასები (მოთხრობებისა და ზღაპრების გამომეტყველებით კითხვა (I-II კლასებისათვის, განმეორებით), 12.30 — მხატვრული ფილმი „მარამარტიბი“ (I სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის — „გაბედული ფოტომონადირე“, 18.30 — „სიტყვა და საქმე“, 18.50 — სპორტული კვირეული, 19.10 — „ჩემი სოფელი ნორიო“ (აბაშის რაიონი), 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — საერთაშორისო პანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „არტურ ბეკერი“ (II სერია. პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — „ეთერში ახალგაზრდობა“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.00 — გადაცემათა პროგრამა, 17.05 — განცხადებები, 17.10 — სკოლების დასახმარებლად — ხაზვა (VIII კლასელთათვის. ჭრილები მართკუთხა გეგმილებში), 17.55 — საქართველოს ისტორია (VIII-X კლასელთათვის, ადრეფეოდალური ურთიერთობის რღვევა საქართველოში), — 18.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი — „რიაბინუშკა“.

4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.05 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (მეშვიდეკლასელთათვის) — ლითონები და მეტალოიდები), 10.30 — კინონარკვევი, 10.45 — მოსწავლეთათვის — „მხიარული სტარტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა, 12.05 — სკოლების დასახმარებლად: ქიმია (მეშვიდეკლასელთათვის, ლითონები და მეტალოიდები, განმეორებით), 12.30 — სატელევიზიო ფილმი, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (სიჩქარისა და აჩქარების გამოთვლა. კინემატიკური განტოლებებით“. ფაკულტატური მეცადინეობა რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის), 17.45 — კინონარკვევი, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ეს ყველამ უნდა იცოდეს“, 18.30 — „ურღვევი კავშირი“ — აჭარის ასსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ძიება, აღმოჩენა, პრობლემა“, 19.30 — „ნორმალურად გამოვაზამთროთ პირუტყვი“, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „არტურ ბეკერი“. III სერია (პრემიერა). 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — გვიანი ბავშვი“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.05 — განცხადებები, 17.10 — მასწავლებლის საათი: მათემატიკა („როგორ ვასწავლოთ სკალები IV კლასში“), 17.55 — ტექნიკუმის მოსწავლეთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 18.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 19.55 — „კინოაფიშა“.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ურიელ აკოსტა.

რედაქტორი
დ. მესხიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-54, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-38, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 99-18-90, ფელეტონის — 99-60-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-34.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უა 02691 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.